ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + ილია II
ოქროს ხანა
8 ლარი
სამტომეულის პირველი ტომი




ხუთშაბათი, 10 იანვარი, 2013 №7 (6008) ფასი: 30 თეთრი

# 190 პოლიტპატიმარი ციხეებს 13 იანვარს დატოვებს



პოლიტპატიმრების სია იხ. გვ. 2

გვ.2

## დავით საგანელიძე: „სააკაშვილის თბილისში გადაადგილება დღეში 50 ათასი ლარი ჯდება“



გვ.3

## გიორგი მგალობლიშვილი: „ხელისუფლებას ვთხოვ, მომანიჭოს პოლიტდევნილის სტატუსი“

გვ.4



## სააკაშვილს 2 აპრილიდან პარლამენტის დათხოვნა შეეძლება

გვ.5

## ახალციხეში დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ქ. ახალციხეში, ნარკოდანაშაულისთვის, წარსულში არაერთგზის ნასამართლევი 1958 წელს დაბადებული გრიგორ ა. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ქ. ახალციხეში, ზედგენიძის ქუჩაზე, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსონაგებობის ჩხრეკის შედეგად 1,495 კგ ნარკოტიკული ნივთიერება, გამომშრალი „მარიხუანა“ და 3 ცალი გამოსაყენებლად ვარგისი კაფსულ-დეტონატორი ამოიღეს.

ექსპერტის დასკვნით, გრიგორ ა. დაკავების დროს ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

საქმე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე 236-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა.

ჩადენილი დანაშაული თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას შსს ახალციხის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

**ნიუსპრესი**



## მამუკა გიორგაძე: „ივანიშვილს აქვს შანსი, ჯანსაღი პოლიტიკური გარემო დანერგოს“

გვ.4

## ზაზა ხატიაშვილი: „ეს ხელისუფლება ქუჩაში გამომიყვანს!“

გვ.2



## ნაციონალებს ძველ ცოდვებს არ უვიწყებენ

გვ.3



3 სააბონენტო ანგარიშებზე კომუნალური ვაუჩერის დარიცხვა უკვე დაიწყო

6 საქართველოში გრიპის ეპიდემიის საშიშროება ჯერ არ შეინიშნება

3 ამერიკის ელჩი თავდაცვის აკადემიას სტუმრობდა

6 ვის შეხვდება სოციალურად დაუცველთათვის აშენებული ბინები?

# 190 პოლიტპატიმარი ციხეებს 13 იანვარს დატოვებს

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგობის მიუხედავად, ამნისტიის შესახებ კანონი ძალაში შევა. მას ხელს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მოაწერს.**





— ამნისტიის შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ძალაში შესვლისა და აღსრულების პროცედურა არ შეჩერდება იმის მიუხედავად, მოაწერს თუ არა პრეზიდენტი ამ კანონს ხელს, — განაცხადეს გუშინ სასჯელაღსრულების სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე სასჯელაღსულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელმა ეკა ბესელიამ.

ეკა ბესელიას განმარტებით, პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტო უკვე დაძლეულია და თუ 11 იანვარს პრეზიდენტი ამნისტიის შესახებ კანონს ხელს არ მოაწერს, უკვე 12 იანვარს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უფლებამოსილი იქნება, კანონს თვითონ მოაწეროს ხელი, რის შემდეგაც მას ძალა მიეცემა და საკანონმდებლო მაცნეშიც გამოქვეყნდება.

— ამნისტიის კანონთან დაკავშირებით, მთვარობასა და პარლამენტს შორის კონსულტაციები წარმატებით დასრულდა. მე პატიმრებს ამნისტიის კანონის მიღებას ვულოცავ. იმედი მაქვს, რომ საპატიმროების დატოვების შემდეგ, მათი ცხოვრება ნორმალურ რეჟიმში გაგრძელდება, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

სოზარ სუბარის განცხადებით, ამნისტიის კანონის მიღების მიზნით, საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა.

— მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ აღიარა პოლიტპატირმების არსებობის ფაქტი, რის შესახებაც გასული წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციები ხშირად საუბრობდნენ. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მისი აღსრულება დაუყოვნებლივ დაიწყება. 13 იანვარს დილის 10.00 საათზე საპატიმროებს, პირველ რიგში, პოლიტპატიმრები დატოვებენ. 190 პატიმრის გათავისუფლება საქართველოს სხვადასხვა საპყრობილიდან მაქსიმუმ ერთი საათის განმავლობაში მოხდება. რაც შეეხება სხვა პატიმრებს, რომლებსაც ამნისტიის კანონი ასევე შეეხებათ, მათი საქმეები სასამართლოებს დაუყოვნებლივ გადაეგზავნება და სასამართლოებს განხილვისათვის და კანონის აღსრულებისათვის ორ თვიანი ვადა ექნება, — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

იუსტიციის მინსიტრ თეა წულუკიანის თქმით, პროკურატურა ამ საქმეებში უკვე 14 იანვრიდან ჩაერთვება და სასამართლოებს აღკვეთის ღონისძიებების გაუქმების და სხვა საჭირო სააღსრულებო პროცედურების გატარების შუამდგომლობებით მიმართავს.

საქართველოს პარლამენტმა „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა თაობაზე“ დადგენილების პროექტი შარშან დეკემბერში დაამტკიცა. დადგენილებას მხარი 77-მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ კი ხმა 14-მა კანონმდებელმა მისცა. პოლიტპატიმრის სტატუსი — 190-ს, პოლიტდევნილის სტატუსი კი 25 პირს მიენიჭა.

ამავე დადგენილების თანახმად, საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს უმოკლეს ვადაში აღნიშნული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმები.

სიის შედგენისას კომიტეტი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციის მე-3 პუნქტის ა, ც, დ და ე ქვეპუნქტებით ხელმძღვანელობდა.

**პოლიტდევნილის სტატუსი მიენიჭათ:** გიორგი ქადაგიშვილს, გენადი არჩუაძეს, ბიძინა გიორგობიანს, გელა ნასყიდაშვილს, მიხეილ ქარელს, იასონ ჩიხლაძეს, ლევან ფხაკაძეს, ქიბარ ხალვაშს, ნიაზ ხალვაშს, მარინე ჭყონიას, ბადრი ბიწაძეს, ზურაბ გიგუაშვილს, გურამ გოგუას, ნიკა გელაშვილს, თემურ გიგაშვილს, მელიქ რაისიანს, გოჩა ვეტრიაკოვს, დავით ბეგიაშვილს, იანიკ ქარქუსოვს, ჯემალ ქარქუსოვს, ტარიელ ხალვაშს, მალხაზ ბაბლიძეს, ილია რამიშვილს, თეიმურაზ შენგელიას და გიგლა ბარამიძეს.

**პოლიტპატიმართა სტატუსის მატარებელი პირები არიან: 26** მაისის მოვლენებთან დაკავშირებით — ადუაშვილი რევაზი, ნემსიწვერიძე მამუკა, ამბარცუმიანი ედუარდი, არევაძე თორნიკე, ახვლედიანი ვალერიანი, ბერიშვილი ლევანი, ბერაძე ზვიადი, ბიბილური ალექსანდრე, გამარჯობაძე ხვიჩა, გაჩეჩილაძე გივი, გოგალაძე ჯურხა, გოგოლიძე ლევანი, გოგოლაძე ვასილი, გოცირიძე კობა, გრძელივანიშვილი ერეკლე, დავითაძე ბეჟანი, ერაძე ალექსანდრე, ზაუტაშვილი ნიკოლოზი, ზურაშვილი შაქრია, კობაური კობა, მეფარიშვილი დავითი, მუხაშავრია გოჩა, მერებაშვილი ამირან, მანაგაძე დემურ, პეტრიაშვილი ბექა, ჟღენტი ოთარი, ჟღენტი თეიმურაზ, სამხარაძე ზაზა, სოლომონიძე ანზორი, სალუქვაძე გია, სტურუა ბახვა, ფარტენაძე დავითი, შუბითიძე აკაკი, ჩილვინაძე ივანე, ჩიქვილაძე ზაზა, ჭეიშვილი დიმიტრი, ხუციშვილი ზურაბ, ძირკვაძე მერაბ, შენგელია მამუკა, გორგაძე მერაბი, გორდელაძე თემური, ანანიძე ცოტნე, მოსიძე ზურაბ, შარაშენიძე გუბაზ, გოგიტიძე გედევანი, ქველაძე ბადრი, კიკვიძე დავით. მოსიძე ზურაბი.

**ყინწვისის საქმესთან დაკავშირებით:** კეშელავა ოლეგი, გოგუაძე ნიკოლოზი, ჩარკვიანი ვარლამი, სისაური მახარე, ცილიკიშვილი მიხეილი, მაისურაძე მიხეილი, გვიმრაძე ზაზა, ალაჯანაშვილი გიორგი, ბეროშვილი გიორგი, გურული ბორისი, თოდაძე კახაბერი, ცამბაია თეიმურაზი, ჩიტრეკაშვილი დავითი, ჩიტრეკაშვილი ზურაბი, გუნდიაშვილი ჯემალი, შუკაკიძე დავითი, ბესელია მამუკა, გელაშვილი ზურაბი, თუთარაშვილი დავითი, ჩიგოგიძე ბადრი, ჩიგოგიძე ბაქარ, ჩარბაძე ირაკლი, ღვალაძე რამაზ, სურამელაშვილი ჯემალ.

**„დაიცავი საქართველოდან“:** მაისურაძე მერაბი, ლომიძე კონსტანტინე, დოლიძე ლევან, ჯოხაძე ანდრო.

**მუხროვანის საქმე:** გორგიაშვილი შოთა, ფოცხვერაშვილი ბესიკი, ჯაჭავაძე ზვიადი, თოფურიძე ირაკი, ბეგოანია ალექსანდრე, გრიგალაშვილი ბექა, ბიბილაშვილი ნიკოლოზი, მიქაძე ზურაბი, მურჯიკნელი ზაზა, საბაშვილი ვანო, საგინაშვილი ვაჟა, საგინაშვილი იმედა, ოთანაძე კობა, ხოხაშვილი პაატა, ბზიშვილი ზურაბ, სამადალაშბვილი გიორგი, ჯოლბორდი კახა, დვალი კახა, ამირიძე ლევან, ხუცურაული ვაჟა.

**„მოძრაობა ერთიანი საქართველოდან“:** ნადირაძე მარლენ, ნაოჭაშვილი თეიმურაზი, წურიაშვილი სიმონი, ხარებავა ზვიადი, გრძელიძე დავით, ბაბილოძე ჯონი, ადამია დიმიტრი.

„ენვერის“ საქმე: გევორქიანი არმენ, გალოგრე რუსლანი, შიკოიანი რუბენი, სკრილნიკოვი იური, აბდულაევი ედუარდი, მესხიძე დავითი, კილურაძე ბაკური, აბაშიძე ტარიელ, კაკაბაძე გელა, პლუჟნიკოვი ვიაჩესლავ, დიასამიძე გოჩა.

**„ქართული პარტიიიდან“:** ბერიაშვილი თამაზ, იამანიძე შოთა, მერებაშვილი ფრიდონ, მახარაშვილი ვაჟა, გიგუაშვილი გალაქტიონ, ჯანჯალაშვილი ნიკოლოზ, ჩიხლაძე ჯიმშერ, ჩიხლაძე გიორგი, მაჭარაშვილი ხვიჩა, ჯამრელაშვილი დავით.

**„ქართული ოცნებიდან“:** მაკარაძე ზაურ, კობახიძე ზაზა, მუმლაძე რევაზი, ანჯაფარიძე თეიმურაზ, საჯაია ზურაბ.

**„სახალხო მართლმადიდებული მოძრაობა“:** აფხაიძე შოთა, ბლიაძე ზვიადი, ჩაჩუა ლევან, შალამბერიძე დავით, გაბედავა გიორგი, მაისურაძე რატი, გურჩიანი ჯაბა, ზუმბაძე ავთანდილი.

„სამოქალაქო ფრონტი“: ვაჩნაძე მელორი, ჟვანია ზაალი, გოგინაშვილი შალვა, გოგიჩაიშვილი ლევანი, ჟვანია ლუარსაბი, დარასელია აკაკი.

**„გაერთიანებული ოპოზიცია“:** გორგიაშვილი ლევან, გორგიაშვილი ბესო, მასურაშვილი ვახტანგ.

**„ეროვნული ფორუმი“:** ჩალაური თევდორე, ნეფარიძე ზურა, სულაძე დიმიტრი.

**„კონსერვატიული პარტია“:** კვეზერელი ნიკოლოზ, ხაინდრავა კახა, ჯიქია ჯონი.

**„ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“:** თავშავაძე ჯუმბერ, ჟორდანია გურამ.

**„თავისუფალი საქართველო“:** ახალკაცი გიორგი, ბლიაძე პავლე, გველუკაშვილი მალხაზი, გოგიჩაშვილი გიგა, გოგლიჩიძე გიორგი, დევრიშაძე ფრიდონ, დემეტრაძე გიორგი, ზავრაშვილი გიორგი (რესპუბლიკური პარტია), ზერეკიძე გიორგი, თხელიძე ნანა, ლეონიძე ჯემალ, მაისაია ვახტანგ, მამედოვი კაზანფარ, მოლაშვილი თორნიკე, მურმანიშვილი ტარიელი, რამაზაშვილი ლუკა, რატიშვილი მერაბ, სალინაძე ბათუ, ტატიშვილი დავით, ყეინიშვილი ზაზა, შალიკიანი ზურაბი, ჩხენკელი ლაშა, წითელაშვილი ტრისტანი, ჭუმბურიძე ალექსანდრე, ხვინთელიანი ბესარიონ, ალიმბარაშვილი დავით, ფარეშიშვილი მამუკა, შინჯიკაშვილი ზვიად, ყველაშვილი ივანე, სვანიძე პაატა, ლონდარიძე დავით, გორელაშვილი გიორგი, ჩაპლიგინი სერგეი, ექვთიმიშვილი გივი, გველესიანი შალვა, დალაქიშვილი ილია და ბაჩიაშვილი დავით.

# ზაზა ხატიაშვილი: „ეს ხელისუფლება ქუჩაში გამომიყვანს!“

**„ადვოკატთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლით გამოირჩეოდა, „ქართული ოცნების“ მთავრობას საკადრო პოლიტიკას უწუნებს და მიაჩნია, რომ თუ ივანიშვილის გუნდმა ახალი კადრები არ მოიყვანა თანამდებობებზე და არა მხოლოდ თანამდებობებზე, საკმაოდ გაუჭირდება იმ მხარდაჭერის შენარჩუნება, რომელიც კოალიციას დღეს საზოგადოებაში აქვს.**

**— მინდა ვუთხრა ახალ ხელისუფლებას: ქართველი ხალხის გამარჯვება სააკაშვილის რეჟიმს და ქარს არ უნდა გაატანონ. მე რეჟიმს ვებრძოდი და არა თანამდებობის პირებს. მერაბიშვილი, ადეიშვილი და კუბლაშვილები იმ ადამიანებმა რომ შეცვალონ, რომლებიც არანაკლებ დამნაშავენი არიან, მე არ მინდა, — აცხადებს ზაზა ხატიაშვილი და უკმაყოფილებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ადამიანები, რომლებსაც ლოგიკურად ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ თანამდებობები უნდა დაეტოვებინათ, დაწინაურდნენ.**

**რა ვერ გათვალა შს მინისტრმა, რას ურჩევს „ადვოკატთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ბიძინა ივანიშვილს და რა შეცდომას უშვებენ „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნები? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ზაზა ხატიაშვილთან.**

შორენა კოწოწაშვილი

***— ბატონო ზაზა, ამ ადამიანების ანუ პოლიციასა და პროკურატურაში, ძალოვანებში დარჩენილი ძველი კადრების იმედად არის პრეზიდენტი და მისი გუნდი, რომლებიც აცხადებენ, რომ ადგილობრივ და საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება გაუჭირდება?***

— ძველი პოლიციელები და პროკურორები ელოდებიან იმ დროს, როდესაც ადამიანებს ქუჩაში სცემდნენ, აწამებდნენ, სახლ-კარს ართმევდნენ და ამაზე პრეზიდენტი სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი ტაშს უკრავდნენ. რა თქმა უნდა, ესენი არიან ფორმიანი კრიმინალები, რომლებიც შეიძლება საბრალდებო სკამზე არ დასვა და აპატიო, მაგრამ მათ ამ სისტემაში მუშაობა საერთოდ უნდა აეკრძალოთ. არ დაიჭირო, საპროცესო შეთანხმება გაუფორმე და გაუშვი.



***— ანუ შსს-მ და პროკურატურამ შიდა უწყებრივი მოკვლევები უნდა გააქტიუროს?***

— რა ვიცი. სოზაშვილების გახმაურებული საქმის შესახებ იცით. 3 დეკემბრიდან იცოდნენ, რომ ძმები სოზაშვილები ამბობდნენ, გვცემეს და პოლიცია თავს დაგვესხაო. 2 დეკემბრის შემდეგ საკმაო დრო გავიდა. აქამდე თუ ვერ გამოიძიეს ეს საქმე, უკვე ველარ გამოიძიებენ. მე რომ ამ საქმეზე არ გავჩუმდები, შენ ხომ იცი. ამ ხელისუფლებამ ისევ ქუჩაში უნდა დამაყენოს. პრემიერ-მინისტრის ოფისის წინ რომ აქციების ჩატარება დამჭირდეს, ჩავატარებ და არ გავჩერდები. მე ვიბრძოდი იმიტომ, რომ ვერც ერთი პოლიციელი ვერ გადაურჩეს დასჯას, რომელიც ქუჩაში დანაშაულს და ძალადობას ჩაიდენს. ამ პოლიციელების — იოსებ ბაიაძის და იოსებ სახლთხუციშვილის დასჯა იქნება კარგი მაგალითი იმისათვის, რომ დაინახონ, ახალი ხელისუფლება მსგავს ქმედებას არ შეეგუება. როცა ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი პრესკონფერენციაზე ვაცხადებ, რომ ეს პოლიციელები დამნაშავეები არიან და შს სამინისტრო ავრცელებს განცხადებას, რომ ამ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## ამერიკის ელჩი თავდაცვის აკადემიას სტუმრობდა

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, გუშინ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიას ესტუმრა.

ელჩი თავდაცვის მინისტრის მოადგილეს თამარ ქაროსანიძეს და აკადემიის ხელმძღვანელობას შეხვდა.

შეხვედრის შემდეგ, რიჩარდ ნორლანდმა ეთა-ს ბაკალავრიატის მსმენელებს სიტყვით მიმართა.

„ვფიქრობ, ყველა ქვეყანა აცნობიერებს, რომ პროფესიულ სამხედრო განათლებას ოფიცერთა კორპუსის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. განათლებულ ოფიცრებს უნდა შეეძლოთ არა მხოლოდ ომის მოგება, არამედ მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. შეერთებული შტატები მოხარულია, რომ წვლილი შეაქვს აკადემიის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფაში, ასევე ეხმარება ეროვნულ თავდაცვის აკადემიას ინგლისური ენის სასწავლო კურსებითა და ინსტრუქტორებით. ამ დახმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს კონტრიბუციას ავღანეთში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაში“ – განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

**ნიუსპრესი**

## „სახალხო კრებისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრ პოლიტპატიმრებს დახვედრას მოუწყობენ

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ გენერალური მდივნის ვახტანგ ყოლბაიას განცხადებით, უახლოეს დღეებში საპატიმროებს, „დემოკრატიული მოძრაობის“ და „სახალხო კრების“ წევრი 42 პოლიტპატიმარი დატოვებს.

როგორც ვახტანგ ყოლბაიამ „ნიუსპრესს“ განუცხადა, 13 იანვარს „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრები გათავისუფლებულ პოლიტპატიმრებს საპატიმროებთან დახვდებიან.

„მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას ვინც მონაწილეობა მიიღო პოლიტპატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტივობაში. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება რომ დავიყოფით ჯგუფებად და ჩვენი პარტიის გათავისუფლებულ წევრებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან დავხვდებით, რათა მათ ოჯახებში დაბრუნება მივულოცოთ. ჩვენი პარტიის წევრებიდან, საპატიმრობეს გლდანის ციხიდან -26 პატიმარი, მატროსოვის ციხიდან – 11 პატიმარი, ბათუმის ციხიდან – 2 პატიმარი და ორთაჭალის ციხიდან – 3 პატიმარი დატოვებს“- განაცხადა ვახტანგ ყოლბაიამ.

**ნიუსპრესი**

## სააბონენტო ანგარიშებზე კომუნალური ვაუჩერის დარიცხვა უკვე დაიწყო

თბილისის მერიის კომუნალური ვაუჩერის დარიცხვა მოქალაქეების სააბონენტო ანგარიშებზე უკვე დაიწყო. ამის შესახებ თბილისის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა, რომელიც გუშინ მგელაძეების მრავალშვილიან ოჯახს ესტუმრა და კომუნალური ვაუჩერის შესახებ ინფორმაცია გააცნო. ვაუჩერიზაციის ფარგლებში, 5 თვის განმავლობაში, თითოეულ ოჯახს სააბონენტო ანგარიშზე 20 ლარი დაერიცხება, საიდანაც 8 ლარითა და 45 თეთრით ელექტროენერგიის გადასახადი დაიფარება.

თბილისში მცხოვრებ იმ 40 000-ზე მეტ სოციალურად დაუცველ ოჯახს კი, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000 არ აღემატება, კომუნალური გადასახადების დასაფარად სააბონენტო ანგარიშზე 100 ლარი დაერიცხებათ. ამასთანავე პირად ანგარიშზე ისინი წლის განმავლობაში დამატებით 150 ლარს მიიღებენ.

თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2013 წლის ბიუჯეტის მიხედვით, თბილისში რეგისტრირებული თითოეული აბონენტი მერიისგან 100 ლარიან კომუნალურ ვაუჩერს მიიღებს. სოციალურად დაუცველი ოჯახები კი 250 ლარიანი ვაუჩერით ისარგებლებენ.

**ნიუსპრესი**

# ნაციონალებს ძველ ცოდვებს არ უვიწყებენ

## პროკურატურამ საქმეები აუდიტის სამსახურს გადაუგზავნა

**შორენა მარსაგიშვილი**

ოპოზიციაში გადასულ ნაციონალებს არც გამჩენი ასვენებს და არც პროკურატურა. შარშან ამ დროს ნაცმოძი და მათთან დამეგობრებული აუდიტის სამსახური ოპოზიციას აჯარიმებდა და აწიოკებდა უკანონო შემოწირულობების გამო. ახლა კი მათი დრო დადგა. ნაციონალებს შესაძლოა ძვირად დაუჯდეთ არჩევნების წინ ყრილობის ჩატარება. ყრილობა საქართველოს 11 ქალაქში ჩატარდა.

მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით ყრილობა უნდა ყოფილიყო მასშტაბური. ხალხი რეგიონებში სპეციალურად ჩაიყვანეს. ამისთვის კი ყვითელი „მარშრუტკები“ გამოიყენეს. ამ საქმით მთავარი პროკურატურა გასული წლის მიწურულს დაინტერესდა. გარკვეული მოკვლევაც ჩაატარეს და დოკუმენტებიც შეაკოწიწეს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ პროკურატურამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ნაციონალური მოძრაობის ყრილობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის მასალები გადაუგზავნა.

არჩილ კბილაშვილის უწყებამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 8 სექტემბერს გამართულ ყრილობასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები გადაუგზავნა.

– საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2012 წლის 8 სექტემბერს, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველოს 11 ქალაქში ყრილობა გამართა. ქალაქ ზუგდიდში ხალხის ჩასაყვანად პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა, შესაბამისი ხელშეკრულებებით, დაიქირავა ეგრეთ წოდებული ყვითელი მიკროავტობუსების კომპანიები, რომლებსაც პარტიის ანგარიშიდან გადაერიცხათ მხოლოდ მძღოლების შრომის საფასური – 39 900 ლარი. რადგან მიკროავტობუსებისთვის საჭირო იყო დიდი რაოდენობის საწვავი, შემუშავდა პარტიული ღონისძიების „შავი არხით“ დაფინანსების თვალთმაქცური სქემა. სქემაში ჩაება შინაგან საქმეთა სამინისტრო, – ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.




პროკურატურის ცნობით, დანაშაულთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის, ბიუჯეტიდან მიზნობრივად შესყიდული საწვავიდან, მინისტრის იმჟამინდელი მოადგილის – ნიკოლოზ ძიმცეიშვილის და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის ლევან ქარდავას ორგანიზებით, 54 000 ლიტრი დიზელის საწვავის ტალონები გადაეცა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს ალექსანდრე ქობალიას.

– ქობალიამ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის განკუთვნილი დანაშაულებრივად მოპოვებული საწვავის ტალონები, 393 მიკროავტობუსის მძღოლს გადაუნაწილა. გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ 2012 წლის 23 სექტემბერს ქალაქ ზუგდიდში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქციის ორგანიზებისთვის საჭირო სატრანსპორტო ხარჯები – 120 000 ლარი ფარულად, საფინანსო დეკლარაციაში ყოველგვარი ასახვის გარეშე, თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძემ გადაიხადა და პარტიის სასარგებლოდ განახორციელა უკანონო შემოწირულობა. რადგანაც გამოძიების პროცესში გამოიკვეთა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტი, შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, მასალები, პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში შემდეგ ფაქტებზე გადაიგზავნა – 2012 წლის 6 სექტემბერს ძიმცეიშვილის მიერ გადაცემული 54 ტონა დიზელის საწვავის ტალონები ღირებული 126. 900 ლარად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“, რაც შესაძლოა აღმოჩნდეს უკანონო შემოწირულობა, ასევე 2012 წლის 22 სექტემბერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსისთვის“ გადაცემული 120.000 ლარი ნაღდი ფული, რაც ასევე შესაძლოა ჩაითვალოს უკანონო შემოწირულობად და 2012 წლის 28 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსისთვის“ გადაცემული 56.000 ლარი ნაღდი ფული, რაც ასევე შესაძლოა ჩაითვალოს უკანონო შემოწირულობად. ყოველივე ზემოაღნიშნული შეიძლება უკანონო შემოწირულობად ჩაითვალოს, რადგან იურიდიულ პირს შემოწირულობის გაცემის უფლება არ აქვს, ხოლო კერძო პირი უფლებამოსილია შემოწირულობა გასცეს მხოლოდ 60.000 ლარამდე ოდენობით, – მიაჩნიათ პროკურატურაში.

რა დასკვნას დადებს აუდიტის სამსახური, ამას დრო აჩვენებს. ნაციონალები ამ ყველაფერს პოლიტიკურ დევნად აფასებენ. ისინი ხელისუფლებას ოპონენტების დევნის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ.

არადა, მათგან მსგავსი არაფერი გაგვიგია არჩევნებამდე. როცა ლამის ნახევარი საქართველო ააწიოკეს. უკანონო შემოწირულობის გამო ზოგი დააყადაღეს და ზოგს თავყბა გაუერთიანეს. ცხოვრება უცნაური რამეა და ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ სხვისთვის გამზადებულ ორმოში შესაძლოა თავად ჩავარდე.

# დავით საგანელიძე: „სააკაშვილის თბილისში გადაადგილება დღეში 50 ათასი ლარი ჯდება“

**შორენა მარსაგიშვილი**

საქართველოს პრეზიდენტს უფლებებს უზღუდავენ, მიხეილ სააკაშვილი კი კვლავ თავის ამპლუაშია. მართალია ძველებურად ველარ მიშობს, მაგრამ ცდილობს ცხოვრება გაილამაზოს. დეკემბრის დამლევს მის ესკორტს ქუთაისში ქვები დაუშინეს. ამაზე გამწარებულმა განაცხადა, არ მჭირდება დაცვა, დედაჩემის ძველ „ოპელს“ მოვახტები და ასე ვივლი ეულად ჩემს ხალხშიო.

სხვა დაპირებების მსგავსად მან არც ეს დანაპირები შეასრულა. ის კვლავ ესკორტით და ამალით გადაადგილდება. მარტო თბილისში მისი გადაადგილება ქვეყნის ბიუჯეტს 50 ათასი უჯდება.

პრეზიდენტს გადასაადგილებელი თანხები საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ დაუთვალა. საგანელიძე საქართველოს პრეზიდენტის ქმედებებით და განცხადებებით აღშფოთებულია.

კონკრეტულად საგანელიძე პრეზიდენტის მიერ საინვესტიციო პროექტების შეჩერებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. ამ განცხადებამ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ინვესტორებმა სააკაშვილი დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულეს.

– პრეზიდენტმა ბოლო დღეებში რამდენიმე განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ, თურმე, შეჩერდა საინვესტიციო პროექტები, სასტუმროს და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობები. ძალიან რთულია იმის გაგება და თქმა, რომ საზოგადოებრივი კონსტიტუციის პირველი პირი მოდის და მოსახლეობას ატყუებს, საუბრობს ისეთ თემებზე, რაზეც წარმოდგენაც კი არ აქვს. არ ვიცი, ვისგან ღებულობს ინფორმაციებს, ან შეიძლება არც ღებულობს და რაც მოადგება ენაზე, ყველაფერს ამბობს და არ აწუხებს, რომ ეს სრული სიცრუეა. ასეთ ქვეყანაში გვიწევს ცხოვრება. შემდეგ სააკაშვილის ნალაპარაკევს ვინმე იმეორებს და გამოაქვთ საჯაროდ განსახილველად, – განაცხადა საგანელიძემ.

საგანელიძის განცხადებითვე, პრეზიდენტს არანაირი უფლებები არ აქვს შეზღუდული და ის სახელმწიფო დაცვითა და ესკორტით ძველებურად სარგებლობს, ხოლო მიხეილ სააკაშვილის გადაადგილება ქვეყნის ბიუჯეტს დღეში 50 ათასი ლარი უჯდება.

– 8 იანვარს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტი მოხდა, ჩემი ახლობელი, რომელიც ვაკეში ცხოვრობს, მირეკავს და მეუბნება, რომ ჭავჭავაძის პროსპექტზე, უნივერსიტეტთან ახლოს, მთლიანად გადაიკეტა ქუჩა და სახლიდან არ გამოუშვეს. აღმოჩნდა, რომ თურმე მიხეილ სააკაშვილი სადღაც რესტორანში საღამოს ვახშმობდა თავის მეგობრებთან ერთად და ამან ვაკეში ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია. მინდა, გითხრათ, რომ ყოველდღე მარტო ასეთი გადაადგილება სახელმწიფოს 50 ათასი უჯდება, ანუ თვეში მილიონ-ნახევარზეა საუბარი. არ შეიძლება, ადამიანმა მსგავსი რამ იკადროს, – აღნიშნა საგანელიძემ.

დავით საგანელიძე სამწუხარო ფაქტად მიიჩნევს იმასაც, რომ ახალი კონსტიტუციით მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა ოქტომბრამდე გაუგრძელდა.

– სამწუხაროდ, ჩვენი კონსტიტუცია ისე შეკერეს და მოხარშეს, რომ შეიძლება მივიდეთ აბსურდამდე, რომ პრეზიდენტს გაუვიდეს საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა და კიდევ რამდენიმე თვე გვყავდეს პიროვნება, რომელსაც მოსხმული აქვს პრეზიდენტის მანტია. თუ მანტიას მოვხსნით, ატყდება ერთი ამბავი – თურმე ვჩაგრავთ. ოქტომბრამდე გაგრძელებული საპრეზიდენტო ვადა მას უნდა დავუტოვოთ, რათა მსოფლიომ და საქართველომ ნახოს, რომ ასეთ მასხარა მდგომარეობაში თავი არ უნდა ჩაიგდოს არავინ, მათ შორის პრეზიდენტმა. ჩემთვის ის პრეზიდენტი არ ყოფილა, რადგან კარგად ვიცი, როგორი გაყალბებით მოვიდა ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ 2008 წელს. ადამიანი თავის საპრეზიდენტო ბიოგრაფიას ასე სამარცხვინოდ არ უნდა ამთავრებდეს, – განაცხადა საგანელიძემ.

20 იანვარს სააკაშვილს პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადა ეწურება. მთელი რიგი ორგანიზაციები 20 იანვრიდან პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით აქციებს იწყებენ. ხელმოწერების შეგროვება კი კარგა ხნის დაწყებული აქვთ. მათ მილიონამდე ხელმოწერა შეაგროვეს.

არასამთავრობოებმა არგუმენტებიც წარმოადგინეს, თუ რატომ არა აქვს სააკაშვილს პრეზიდენტად დარჩენის უფლება. ამ არგუმენტებს გუშინ კიდევ ერთი დაემატა. ამის შესახებ განცხადება „თეთრების“ სახელით გია სიხარულიძემ გააკეთა.

– ქართველთა საფიცარი ხატი – საქართველოს გაერთიანების სიმბოლო, ბაგრატის ტაძარი – გაეროს კულტურისა და მეცნიერების სპეციალური ქვედანაყოფის, იუნესკოს გადაწყვეტილებით, როგორც ცალკე ისტორიული ძეგლი ამოღებულ იქნა მსოფლიოს საგანძურის სიიდან.

საუკუნეების მანძილზე იდგა ამაყად ტაძარი იუნესკოს გარეშე და კვლავაც გაუძლებს საუკუნეებს. უბედურება ის კი არ არის, სტატუსი რომ შეუცვალეს, უბედურება ისაა, რომ ვაი ქართველთა ჭკუაგონებითა და მარჯვენით ისე შეიცვალა, ისე დამახინჯდა, ისე დამდაბლდა, რომ დაკარგა ისტორიული, არქიტექტურული, ესთეტიკური და სხვა ღირებულებათა დიდი წილი. ჩვენთვის ეს ყოველივე განსაკუთრებით მტკივნეულია, თავის დროზე ხომ იუნესკოს ამ სიაში სწორედ პირადად „თეთრების“ ლიდერის, ბატონ თემურ შაშიაშვილის მონდომებისა და მეცადინეობის შედეგად მოხვდა.

ტაძრის აღდგენის დაწყებიდანვე ჩვენ განგაშით ვამბობდით, რომ:

– ხელყოფილ იქნებოდა ქართული სახელმწიფოს ერთიანობის სიმბოლო;

– ხელყოფილ იქნებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ქართული ხუროთმოძღვრების შედეგი;

– ხელყოფილ იქნებოდა დიდ ქართველ მეფეთა კურთხევისა და ზეობის ტაძარი.

– და ამ ბარბაროსობის სულისჩამდგმელს და ჩამდენს ქვეყნისა და ხალხის მეთაურობის პრეტენზია აწუხებს კვლავაც!



ქართველთმოძულე და საქართველოს მოძულე ადამიანთა ერთ ჯგუფს ქვეყნის მართვის სადავეების აღების წყურვილი კლავს კვლავაც!!

საკაცობრიო ღირებულების მქონე ტაძრის შემრყვნელთ უცხოელი მფარველები გაშმაგებულნი იცავენ კვლავაც!!!

ქართველებს არას ეკითხებიან, საქართველოს არას ჰკითხავენ.

ბაგრატის ნაცვლად კოჰაბიტაციას გვტენიან, დავითის ძეგლთა ნაცვლად ჟანგიანი ველოსიპედისა და ოქროსფერ რქოსანთა ძეგლებს გვიდგამენ;

მამა ღმერთისა და შვილი ქერუბინის გამოსახულებიანი აფეთქებული მემორიალის ნაცვლად გადამთიელ პრეზიდენტთა ძეგლებთან გვაფიცებენ;

ცეცხლოვანი ხმლით ამხედრებულ მზეჭაბუკის ნაცვლად ახალგაზრდებს ვაჟისა და ქალის ერთმანეთში შემავალი „ქანდაკებით“ უყალიბებენ მხატვრულ გემოვნებასა და ცხოვრების სინდის-ნამუსს;

ყველაფერი რომ ეპატიოთ პრეზიდენტად ყოფილს, მის ჯგუფს, ბაგრატის ტაძრის ხელყოფის პატიების უფლება არავისათვის მიუცია ქართველ ხალხს, ამიტომაც ვერავინ უნდა გაბედოს – აპატიოს სააკაშვილს და ნაცმოძრაობას ქართული სულის ნგრევა, შერყვნა, დაქუცმაცება, დამცირება, დაცემა.

ის, რამაც გაუძლო მონღოლ-ოსმალო-სპარსთა შემოსევებს და აღიარებულ იქნა მსოფლიო საგანძურის ნიმუშად, ერთი კაცის ახირებით, ბოროტი აზროვნებითა და მისი გუნდის მსახვრალი ხელით სამუდამოდ დაეკარგა ქართველ ხალხს. რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ საქმეში თავისი წვლილი ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტსაც მიუძღვის, – ნათქვამია სიხარულიძის განცხადებაში.

# მამუკა გიორგაძე: „ივანიშვილს აქვს შანსი, ჯანსაღი პოლიტიკური გარემო დანერგოს“

თამარ ნინიძე

**სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე პრეზიდენტ სააკაშვილის ხუთპუნქტიან შეთავაზებაზე, ივანიშვილის და მისი კოალიციის მომავალზე და პოლიტიკურ სპექტრში ჯანსაღი კონკურენციის პირობების განვითარებაზე „ახალ თაობას“ ესაუბრა.**



***— პრეზიდენტმა წინა საახალწლო მილოცვაში, რომელიც წესით მთელ ერს ეკუთვნოდა, პოლიტიკური წინადადებები გაახმოვანა. განხილვის თემა იყო მისი ხუთპუნქტიანი შეთავაზება საყოველთაო შერიგების კონტექსტში. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ შეთავაზებას?***

— როცა ძალაუფლების მფლობელი იყო მიხეილ სააკაშვილი, მაშინ არაფერს ნიშნავდა მისი შეთავაზებები. ბუნებრივია, დღესაც არაფერს ნიშნავს. ერთადერთი ეს ემსახურება იმას, რომ საინფორმაციო სივრცეში დაიმკვიდროს ადგილი და საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ქმედითუნარიან პრეზიდენტად უნდა გამოჩნდეს. ამით უნდა შეინარჩუნოს საკუთარი თავი და საკუთარი მხარდამჭერების კეთილგანწყობა მის მიმართ.

***— პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს ამზადებს მისი ძალაუფლების შეზღუდვის მიზნით. რას ფიქრობთ ამ პროცესზე?***

— სააკაშვილის ძალაუფლება უკვე შეზღუდულია პირველი ოქტომბრის შემდეგ. ის უკვე მიხვდა, რომ უფლებამოსილების ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენია, არ გამოეყენებინა, თუნდაც ძალოვანი მინისტრების დანიშვნა. ის იმ უფლებებსაც ველარ იყენებს, რომელიც აქვს. სააკაშვილი უკვე წარსულია, მასზე აღარც უნდა ვლაპარაკობდეთ. ჩვენი ამოცანაა, ქართველებმა როგორ ვიპოვოთ კონსენსუსი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, როგორ ჩამოვაყალიბოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ძირითადი მიმართულებები, რა ურთიერთობები უნდა გვქონდეს კონკრეტულ დონეზე რუსეთთან, სად გადის საქართველოს ინტერესების ქვედა ზღვარი, როგორ განვახორციელოთ სახელმწიფო სისტემის რეფორმირება, როგორი უნდა იყოს სოციალურ ფენებს შორის თანამშრომლობა და ფართო კონსენსუსით მივაღწიოთ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დაწყებას.

***— ბიძინა ივანიშვილმა გასული წლის ბოლო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არც 5 იანვარს და არც 20 იანვარს კოალიცია არ დააყენებს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნას, და რომ დასავლეთი ამას ვერ გაგვიგებს. იზიარებთ ამ პოზიციას?***

— დღეს სააკაშვილის იძულება გადადგომაზე, ეს ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული საქმეების კეთებისგან გადავიდეთ კვლავ ემოციურ აჟიტირებულ ფონზე, მოვახდინოთ ვითარების ესკალაცია და ეს ხელს შეუშლის თვითონ მთავრობას. როცა მცირერიცხოვანი ხალხი გამოდის, ეს არ არის პრობლემა, მაგრამ როცა ასი ათასობით ადამიანი გამოდის, ეს გამოიწვევს მთავრობის საქმიანობის პარალიზებას. მთავრობას თვითონ არ აწყობს მასობრივი აქციები დიდ ქალაქებში, გარკვეული ძალები შეეცდებიან ინიციატივის ხელში აღებას, მთავრობა იძულებული იქნება ისეთი ქმედებები განახორციელოს, რომელიც მას დაგეგმილი გზიდან ააცდენს. ასეთი აქციების განხორციელების აუცილებლობას ივანიშვილი ვერ ხედავს და სწორადაც ვერ ხედავს; მეორე საკითხია აჟიოტაჟი კონსტიტუციურ ცვლილებებთან ერთად, რაც მთავარი მაგისტრალური ხაზიდან გვაცილებს, ამ ენერგიის ხარჯვა ენერგიას დააკლებს საქმის კეთებას. თუ გვინდა ძველმა ხელისუფლებამ პასუხი აგოს, ამისთვის საჭიროა შეიქმნას კომისია, შეფასდეს 2003-2012 წლის მოვლენები და პოლიტიკური პასუხისმგებლობა დადგეს ამა თუ იმ ადამიანის. დავუშვათ გადადგა სააკაშვილი, ექვსი თვის შემდეგ ნაცმოძრაობა ჩაებმება სხვადასხვა ფორმით პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენი ამოცანაა ყველამ დაინახოს — დასავლეთმაც და აღმოსავლეთმაც, რომ შეგვიძლია შევაფასოთ პოლიტიკური ვითარება და მივიღოთ გადაწყვეტილებები. დღეს არა გადადგომის მოთხოვნაზე მსჯელობაა აუცილებელი, არამედ ამ კომისიის ეგიდით ან სხვა ფორმატით შეფასდეს ნაცმოძრაობის ქმედებები და აიკრძალება ნაცმოძრაობა რამდენიმე წლის მანძილზე. ჩვენ ნაცმოძრაობას თავის სააკაშვილიანად ლიცენზია უნდა შევუჩეროთ. მისი გადადგომა და განდევნა საქართველოდან შედეგს არ მოგვცემს. იმიტომ, რომ მის მიერ შექმნილი სისტემის შეფასება არ იქნება განხორციელებული. ეს სისტემა უნდა დავშალოთ. სააკაშვილის სასამართლოში გადაცემა არ ნიშნავს სისტემის დემონტაჟს.

***— პარლამენტის ერთპარტიულობის შესახებ არის შიშები, თუკი რამეზე გაბრაზებული ნაცმოძრაობა დატოვებს საკანონმდებლო ორგანოს, მივიღებთ ერთპარტიულ პარლამენტს. არის მოსაზრება, რომ ივანიშვილმა უნდა გააძლიეროს ქართული ოცნება როგორც პარტიული ორგანო, ეს ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციასაც ხელს შეუწყობს. ამასთან დაკავშირებით როგორია თქვენი აზრი?***

— ხელოვნურად არაფერი შეიქმნება, ივანიშვილს აქვს შანსი ჯანსაღი პოლიტიკური გარემო დანერგოს საქართველოში. შემდეგ ყველა პარტია თავისი ნიჭის და უნარის მიხედვით განვითარდება. ხელოვნურად არ შეიძლება პარტიების შექმნა და დაშლა. 1 ოქტომბრის შემდეგ გაჩნდა შანსი, რომ ჯანსაღი პოლიტიკური გარემო დაინერგოს საქართველოში. ეს დაიცავს ქვეყანას ერთპარტიული დიქტატურისგან.

# გიორგი მგალობლიშვილი: „ხელისუფლებას ვთხოვ, მომანიჭოს პოლიტდევნილის სტატუსი“

**„ბატონო პრეზიდენტო, მოგმართავთ თქვენ, მას შემდეგ, რაც ჩვენი მრავალგზის მომართვისა სხვადასხვა ინსტანციებში, არც ერთი მოთხოვნა არ იქნა გაზიარებული. საქმეზე, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ, სადაც დანაშაულის ჩამდენი მაღალი რანგის ჩინოვნიკები გვევლინებიან, სამართლიანობის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ თქვენი პირადი ჩარევის და პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში.**

**ჩვენი ჯგუფის ერთი ნაწილი, ნორმან სეკოლდი, რობერტ ტომსონი და ჯორჯ კურტისი, რომლებიც ავსტრალიელი ბიზნესმენები არიან, საქართველოში საქმიანობენ ჯერ კიდევ 1993 წლიდან. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ მიერ საქართველოში განხორციელებულია რამდენიმე მილიონიანი ინვესტიცია და მრავალი განსაცდელი გამოვიარეთ (გამოძალვა, ყაჩაღობა, თავდასხმა მკვლელობის მიზნით, პოლიტიკური დევნა), მაგრამ ქვემოთ მითითებულმა ფაქტმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა“**



ნონა ცაბაძე

თუ რა ფაქტზეა საუბარი, ამას ჩვენს მკითხველს ცოტა მოგვიანებით გავაცნობთ. რაც შეეხება აღნიშნულ წერილს, ბიზნესმენი გიორგი მგალობლიშვილი, რომელიც პოლიტდევნილია და დღეს ინგლისში ცხოვრობს, უკვე ველარ ითვლის მერამდენედ აგზავნიან ავსტრალიელი ბიზნესმენები მსგავს წერილებს პრეზიდენტ სააკაშვილის სახელზე, თუმცა ყველა მათი წერილი უპასუხოდ რჩებოდა.

ამ წერილს უფრო ფორმალურს თუ ვუწოდებთ, რადგან თავად ჩვენს რესპონდენტსაც არ ეპარება ეჭვი, რომ ამ ყველაფერში (დეტალებს კი ქვემოდ მოგახსენებთ) თავად სააკაშვილის ხელიც ურევია. საზოგადოებისათვის ხომ კარგად არის ცნობილი, რომ სააკაშვილის გარეშე ჩვენს ქვეყანაში ბიზნესს ვერავინ დაიწყებდა და წართმევითაც ყველას მისი სახელითართმევდნენ. ავსტრალიელ ბიზნესმენთა ჯგუფსაც ქ. თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე ღვინის ქარხანაც პრეზიდენტის სახელით წაართვეს. ჯერ სთხოვდნენ ნებით დაეთმოთ, თუმცა ასე რომ არაფერი გამოუვიდათ, ძალით წაართვეს.

„ახალ თაობას“ აღნიშნული საქმის დეტალებზე ლონდონში მცხოვრები პოლიტდევნილი **გიორგი მგალობლიშვილი** სკაიპით ესაუბრა, რომელიც ავსტრალიელ ბიზნესმენთა რეგიონალური მენეჯერი იყო. მგალობლიშვილს პოლიტდევნილის სტატუსი ლონდონის სასამართლომ მიანიჭა.

***— ბატონო გიორგი, მოდით, გვიამბეთ დეტალურად თუ რა და როგორ მოხდა?***

— ავსტრალიელ ბიზნესმენთა მონაწილეობით, 1999 წელს გაფორმებული იყო ხელშეკრულებები თბილისის ღვინის პირველი ქარხნის 51%-ის შესყიდვაზე. 2006 წლამდე ხორციელდებოდა გეგმური საინვესტიციო საქმიანობა. 2005 წელს ახალ ბაზარზე გასვლის მიზნით მოხდა დაკავშირება მეტალურგიულ მაგნატთან, ფინანსური შესაძლებლობების თვალსაზრისით ფორბსის სიაში პლანეტის მე-4 ნომრად მითითებულ პირთან პ. ლ. მიტტალთან, რომელიც იღებდა ვალდებულებას დამატებით 35 მლნ დოლარის ინვესტირებაზე და პირველ ეტაპზე 30 მლნ ბოთლის რეალიზაციაზე ინდოეთის და ნიგერიის ბაზრებზე. ალბათ სწორედ ამ წარმატებამ და საწარმოს კრიზისიდან გამოსვლამ მიიპყრო კრიმინალური დაჯგუფების ინტერესი.

***— მათი ინტერესი რაში გამოიხატებოდა?***

— ჩემთან და ასევე დირექტორ დიქშიტთან გამოცხადდა საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურნეო საბჭოს წევრი, ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სახელმწიფო კოორდინატორი და პარლამენტის უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პირადი მეგობარი და მმართველი გუნდის სახელით მოითხოვა ქ. თბილისში მდებარე პირველი ქარხნის მათ მიერ მითითებულ ოფშორულ კომპანიაზე გადაფორმება იმ მოტივით, რომ ის უნდა გამხდარიყო პრეზიდენტის მარანი-საკუთრება. აქ მარტო ქარხანაზე კი არ იყო საუბარი, იმ პერიოდში ეს ქარხანა უკვე შედგებოდა ვენახის, ღვინის ქარხნისა და ღვინის მაღაზიების ქსელისგან. ეს იყო სერიოზული კომპანია. ვინაიდან მათ ჰქონდათ სრული ტექნოლოგიური ციკლი ვენახიდან-მაღაზიამდე და ამათი მთავარი მეღვინე იყო მაიკლ ვონკერი, ჯოდი ვოლკერის შვილიშვილი. შეიძლება ითქვას, რომ ძალიან საინტერესო კომპანია იყო. მათი პოზიცია ასეთი იყო, რომ ეს ქარხანა უნდა გადაკეთებულიყო პრეზიდენტის პირად მარნად, როდესაც მას სტუმარი ჩამოუვიდოდა, ქალაქის ცენტრში უნდა ჰქონოდა ადგილი, სადაც მიიყვანდა სტუმარს და გაასინჯებდა ქართულ ღვინოებს.

***— რა პოზიცია ჰქონდათ ავსტრალიელებს?***

— ავსტრალიელების პოზიცია იყო ძალიან მარტივი, თუ ვილაცის მოყვანა უნდა პრეზიდენტს, ჩვენ შეგვიძლია ამ ტერიტორიას დავარქვათ პრეზიდენტის მარანი, ყველაზე დიდი წარწერა გავაკეთოთ ქუჩის მხრიდანაც და ვინც უნდა, როცა უნდა მოიყვანოს, ჩვენ გადავიხდით ფულს. პრეზიდენტის სტუმრებს უფასოდ მოვემსახურებით თუ მას ასეთი სურვილი აქვს, მაგრამ მათი მოთხოვნა სულ სხვა იყო, ისინი პრინციპულად ითხოვდნენ ამ ქარხნის გადაფორმებას. თან გადაფორმებას ითხოვდნენ არა სახელმწიფოზე, არამედ რაღაც მოგონილ ოფშორულ კომპანიაზე. ავსტრალიელებს საკმაოდ დიდი ფული ჰქონდათ ამ ბიზნესში ჩადებული. უცხოეთში ასე მაჩუქე-გაჩუქე მიღებული არ არის.

რომ იტყვიან, ქარხნის წართმევის პროცედურა დაიწყო. ჯერ იყო ასეთი მოთხოვნა, რომ ნებაყოფლობით გვაჩუქეთო. ნებაყოფლობით ჩუქება ცოტა გაუგებარი საკითხია, ხომ?! ამ საკითხთან დაკავშირებით მითალი პირადად შეხვდა ზურაბ ნოღაიდელს, მე ფოტოებიც კი მაქვს ამ შეხვედრის. ზურაბ ნოღაიდელი მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო. უთხრა, რომ პრეზიდენტის სახელით მთხოვენ ქარხნის გადაცემას, თუ სახელმწიფოს ასე სჭირდება, მითხარით და ერთს კი არა ორ ქარხანას აგიშენებთო. თუმცა შედეგი არც ამ შეხვედრამ გამოიღო.

***— ბატონო გიორგი, პირადად თქვენ რა სტატუსი გქონდათ ამ კომპანიაში?***

— მე ვიყავი ავსტრალიელების წარმომადგენელი. აქციები მეც მქონდა ქარხანაში. ამ ქარხანას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ბაბუაჩემი და მისი ძმა ამ ქარხანაში მუშაობდნენ. ბაბუაჩემის ძმა ამ ქარხნის მთავარი მეღვინე იყო. ჩემი ოჯახის წევრები ამ ქარხანაში თითქმის ასი წლის მანძილზე მუშაობდნენ. პრივატიზაციის დროს აქციების სიმბოლური პაკეტი გვქონდა ჩვენ, 0,5%. თუმცა მე ვმუშაობდი ავსტრალიურ კომპანიაში 1993 წლიდან. მე გავუწიე მათ რეკომენდაცია, შეიძლება ითქვას, დავაინტერესე ამ საკითხით.

***— შემდეგ როგორ ვითარდება მოვლენები?***

— მათი მეთოდი ასეთი იყო, თუ არ გვაჩუქებთ ნებით, მაშინ სხვა ღონისძიებებს განვახორციელებთო. როგორც იცოდნენ, ფულის გათეთრების კუთხით დაიწყეს საგადასახადო შემოწმება და ჩემი საქართველოში არ ყოფნის პერიოდში, ქალაქის ცენტრში 8.000 კვ.მ მიწის და მასზე განთავსებული ღვინის ქარხნის ხელში ჩაგდების სურვილით შეპყრობილი პირების მიერ გენერალურ პროკურატურაში შეტანილი ცრუ ბრალდებებით დაიწყო გამოძიება. რაც იყო სრული აბსურდი, რადგან მთელი დაფინანსება აბსოლუტურად გამჭვირვალე იყო. ვინ იყო ინვესტორი და ვინ აქციონერი, ძალიან მკაფიოდ ჩანდა. ჩვენ ველოდებოდით, რომ გაირკვეოდა სიმართლე, თუმცა, ნაცვლად ამისა, სრულიად უკანონოდ დაკავებული იქნა ქარხნის ყველა ის თანამშრომელი, რომლებმაც ჩემთან დაკავშირებით სამართლიანი ჩვენება მისცა. ისინი მათთვის სასურველი ჩვენების მიღებას ითხოვდნენ. ზეწოლის და სასურველი ჩვენების მიღების შემდეგ ეს ადამიანები პატიმრობიდან გათავისუფლდნენ საპროცესო შეთანხმებით. ყველანაირი მეთოდი გამოიყენეს, ზეწოლა, დაპატიმრება, გატაცება. ისინი ძირითადად ფსიქოლოგიურ ზეწოლას და იძულებას ახორციელებდნენ ქართველ მოქალაქეებზე. უცხოელ ინვესტორს ვერც კი წარმოედგინა, რომ რომელიმე მისი თანამშრომელი გატაცებული იყო და მას აწამებდნენ, ან აუპატიურებდნენ. ასევე ქარხანაში შევარდა სპეცრაზმი, ეს უცხოელები დაარბიეს, გამოყარეს ტერიტორიიდან, დაულუქეს ყველაფერი, როგორც სჩვევიათ ხოლმე...

***— და საბოლოო ჯამში მოხდა ქარხნის წართმევა?***

— დიახ, კანონის უხეში დარღვევით ქარხანა და მიწის ნაკვეთი გადავიდა ე.წ. ბიზნესმენის, ვინმე მ. უგულავას საკუთრებაში. ფორმალურად კი გადაფორმდა მის ახლო ნათესავზე, ვინმე ცომაიაზე. ასევე შემდგომში გახდა ჩვენთვის ცნობილი, რომ მ. უგულავამ უკვე გაორმაგებულ ფასად, დანაშაულებრივი კვალის დაფარვის მიზნით, ქონება გადაუფორმა თავის თანამზრახველს, ბიზნესმენს, ვლადიმერ კვარაცხელიას. გეტყვით იმასაც, რომ უგულავას ქარხნის უკანონოდ ხელში ჩაგდებაში ქმედით დახმარებას უწევდა გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მაშინ უკვე ყოფილი მოადგილე და საქართველოს ბანკის პრობლემური სესხების დეპარტამენტის ახლანდელი უფროსი ზ. გრიგოლია.

ფაქტიურად, ვისაც მოაწერინეს ხელი ქარხნის გაყიდვაზე, მათ ამის არანაირი უფლებამოსილება არ ჰქონდათ ან გაეყიდათ, ან გაეჩუქებინათ, იმიტომ, რომ საკონტროლო პაკეტის მფლობელები იყვნენ უცხოელი ინვესტორები. მათ ქართველ წარმომადგენელს უფლებაც კი არ ჰქონდა, ხელი მოეწერა, მაგრამ ვინაიდან ოთხი კაცი დაჭერილი იყო, კიდევ ოთხი კაცის დაჭერით იმუქრებოდნენ, ასევე ხალხს იტაცებდნენ, იყო ბავშვების გატაცების მუქარა. ლონდონში გვირეკავდნენ ოჯახის წევრები და დახმარებას გვთხოვდნენ. ავსტრალიელებისთვის ეს ყველაფერი დაუჯერებელი იყო. თავად ჩამოფრინდნენ თბილისში და მივიდნენ პროკურატურაში, აქ ვართ და აგვიხსენით, რა გინდათო. მათ ჩვენებებიც კი ჩამოართვეს, თუმცა არც ერთი მათგანის ჩვენება არ იქნა გაზიარებული და საქმეში დართული.

ამ ქონების გადაფორმებაც საეჭვო ვითარებაში მოხდა, ერთ დღეს გადააფორმეს ერთ კაცზე, მეორე დღეს მისი მფლობელი შეიცვალა, ასევე შე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ზაზა ხატიაშვილი: „ეს ხელისუფლება ქუჩაში გამომიყვანს!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ადამიანებს დანაშაული არ ჩაუდენიათ, ამით სამინისტრო ხდება დანაშაულის ხელშემწყობი და მფარველი. რას უნდა გახდნენ ამ ფონზე ჩვეულებრივი მოქალაქეები?! ამიტომ მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომ ამ მოძალადე პოლიციელებს – მერაბიშვილის და ადეიშვილის გამოზრდილ პოლიციელებს, მოქალაქეების ცემა და წამება გააგრძელებინოს?! მე, პირადად, ქუჩაში სამი წელი იმიტომ არ ვმდგარვარ, რომ ელექტროენერგიის გადასახადი 20 ლარით შემიმცირდეს. ქუჩაში იმიტომ ვიდექი, რომ მინდა ამ ქვეყანაში იყოს სამართლიანი სასამართლო; მინდა ამ უსამართლო მოსამართლეების გასამართლება; ნიურბერგის პროცესი. ჩაატარონ ექსპერტიზა და თუ არ დადასტურდება, რომ მოსამართლეები ერთი და იგივე გადაწყვეტილებების კოპირებას ახდენდნენ, მზად ვარ, რომ მე დამიჭირონ. ამოიღონ 2006-2008 და შემდგომი წლების საქმეები. ოც-ოცი საქმე შეამოწმონ და ამაში თავადაც დარწმუნდებიან. რაზე მელაპარაკებიან, რომ ეს ადამიანები შეიძლება სამსახურებში დატოვონ?..

***– დაიგვიანა ხელისუფლებამ სასამართლოში ცვლილებების გატარება? ვხედავთ, როგორ უშვებს სასამართლო გირაოს სანაცვლოდ დაპატიმრებულ პირებს.***

– საერთოდ, გირაოს გამოყენება არის ძალიან კარგი. ნურც ახალ ხელისუფლებას ექნება იმაზე გართულება, რომ გირაო არ უნდა შეუფარდონ, პირიქით. ყველა პირს შეუფარდონ გირაო და ყველა ადამიანმა უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ თავისი სიმართლე დაამტკიცოს. ამაში ტრაგედია არ არის. ტრაგედია იმაშია, რომ კონსტანტინე კუბლაშვილის სასამართლო ისეთ პირებს, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის პირველ პირებს წარმოადგენენ, უფარდებს გირაოს და ადამიანი, რომელსაც ერთი 20 თეთრიანი ფუნთუშა ჰქონდა მოპარული, იმას უფარდებდა აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობას და ადამიანებს ამაზე 10-15 წელს უსჯიდა. ამაზეა პრობლემა – შერჩევითი მართლმსაჯულება არ უნდა იყოს.

***– იკვეთება, რომ სააკაშვილი ივანიშვილის ხელისუფლებას სწორედ ამ მოედანზე, სასამართლოში ეპაექრება?***

– საერთოდ, მე ვამბობდი, რომ დამნაშავე მოსამართლეები უნდა გამოკვეთილი ყოფილიყო. სააკაშვილის რეჟიმის მთავარი დასაყრდენია კუბლაშვილის უნამუსო სასამართლო. ეს რომ სიმართლეა, ჩანს. სასამართლოს რეფორმაზე რომ დაიწყო საუბარი, სააკაშვილმა სამარცხვინო განცხადებები გააკეთა. გეგონება, ქუჩის ბიჭი იყო, ისეთი ჟარგონებით და ისეთი ენით საუბრობდა. ეს ძალიან სამარცხვინო ფაქტი იყო. ამ ფონზე შს სამინისტრომ ისეთი რამე არ უნდა გააკეთო, რომ ამ სამარცხვინო ადამიანს აძახებინო, ნარკოდილერები დანიშნეს თანამდებობებზეო. როცა ასეთი ავანტურისტი პრეზიდენტი ჰყავს ქვეყანას, ისეთი ნაბიჯები არ უნდა გადადგა, რომ ეს ადამიანი შენზე არ აცინო.

***– რას ურჩევდი ახალ ხელისუფლებას, პირველი რიგის ამოცანად დაისახოს სასამართლოს რეფორმირება?***

– რა გითხრათ, მე მაგალითად, მეცინება „ქართუ ბანკის“ საქმეს რომ იძიებენ და გირგვლიანის, ჟვანიას და ზურა ვაზაგაშვილის საქმე არ გახსნილა. ვაზაგაშვილის საქმე ფაქტობრივად გახსნილია. სახალხო დამცველმა შეიტანა რეკომენდაციები, რომ უნდა გაუქმებულიყო პოლიციელების მიმართ სს საქმის შეწყვეტის დადგენილება და გამოძიება განახლებულიყო. ერთადერთი საქმეა ვაზაგაშვილის, რომელზეც სახალხო დამცველის რეკომენდაციაა. ამ საქმით რომ არ იწყებ და იმას ამბობ, აპარატურა დაგვიზიანესო და „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმით იწყებ, აქ უკვე ოპონენტები გეუბნებიან, პოლიტიკურად მდევნიო. ბანკის გაკოტრება კი უნდოდა სააკაშვილს, მაგრამ მთავარ პროკურატურას გამოძიებები ამით არ უნდა დაეწყო. არასასიამოვნოა, როცა გახმაურებულ მკვლელობას გვერდზე გადადებ და ბანკის გაკოტრების საქმით იწყებ, ივანიშვილს რომ ასიამოვნო. თუ ივანიშვილის მითითება არ არის, რომ პირველ რიგში ეს საქმე გამოიძიონ, მე ივანიშვილის ადგილზე შევაჩერებინებდი, ვეტყოდი, სამარცხვინოა ახლა ამაზე ლაპარაკი, როცა ამდენი მძიმე დანაშაულია გამოსაძიებელი.

***– ანუ ახალი ხელისუფლებს შეცდომებს უკვე უშვებს?***

– ძალიან ბევრს, მაგრამ ძალიან კარგად მუშაობს პარლამენტი. ეკა ბესელია როგორი სულით უფლებადამცველიც იყო, ისევე დარჩა და მე ვურჩევდი ბევრს მისთვის მიებაძა და საქმე გაეკეთებინა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის. ეს იქნებოდა სწორი ნაბიჯები.

# სააკაშვილს 2 აპრილიდან პარლამენტის დათხოვნა შეეძლება

ნათია ხურცილავა

**ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით არ არის გამორიცხული, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელი თბილისთან ერთად ქუთაისიც გახდეს.**

**საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის პირველი სხდომა, გუშინ იუსტიციის სახლში დახურულ რეჟიმში გაიმართა. საორგანიზაციო კომისიის პირველი სხდომის დახურულ კარს მიღმა ჩატარების მიზეზად ჟურნალისტებს ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ სხდომათა დარბაზის სივიწროვე დაუსახელა.**

**კომისიის წევრებმა საკონსტიტუციო ინიციატივებთან დაკავშირებით პრესასთან თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს.**





კომისიის ხელმძღვანელის მანანა კობახიძის განცხადებით, სხდომაზე მხოლოდ საორგანიზაციო საკითხები განიხილეს, სადაც შემდგომი სხდომების გრაფიკი დაადგინეს.

საყოველთაო სახალხო განხილვის კომისიამ პირველი სხდომა იუსტიციის სახლში, პარლამენტის თავმჯდომარისათვის განკუთვნილ ფლიგელში ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ თავად პარლამენტის თავმჯდომარე იუსტიციის სახლში მივიდა, ის კომისიის სხდომას არ დასწრებია, როგორც ცნობილია, დავით უსუფაშვილი კომისიის წევრი არ არის.

პარლამენტში ინიცირებულ ორ საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით შექმნილი საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისია პირველ გასვლით სხდომას 15 იანვარს ზუგდიდში გამართავს, 17 იანვარს კი სხდომა ქუთაისში გაიმართება.

აღნიშნული გრაფიკი კომისიის წევრებმა იუსტიციის სახლში გამართულ გუშინდელ შეხვედრაზე შეათანხმეს.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ 22 იანვრიდან ყოველდღიურად, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ადგილას გაიმართება კომისიების სხდომა, თუმცა შესაძლოა, გრაფიკში გარკვეული კორექტივები შევიდეს.

ხმალაძემ ხაზგასმით განაცხადა, რომ კომისიის სურვილია, მედია საშუალებები აქტიურად ჩაერთონ როგორც უშუალოდ კონსტიტუციური ცვლილებების განხილვის პროცესში, ასევე მის გაშუქებაში და მედია საშუალებების მეშვეობით აქტიური დებატები და დისკუსია გაიმართოს.

ვახტანგ ხმალაძემ ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიზეზებზე ისაუბრა:

– 2 აპრილიდან პრეზიდენტს შეეძლება იმავდროულად დაითხოვოს ქვეყნის პარლამენტიც. ქვეყანაში აღარ იქნება ხალხის ნდობით აღჭურვილი საკანონმდებლო ხელისუფლება – პარლამენტი და ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა. ეს არანორმალური ვითარება რომ გამოსწორდეს, ამისთვის არის ინიცირებული ის ცვლილებები, რომელთა განხილვა დაიწყება 15 იანვრიდან, – განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების ერთ-ერთი პროექტი გულისხმობს კონსტიტუციიდან იმ მუხლის ამოღებას, რომლის თანახმადაც პარლამენტის ადგილსამყოფელი მხოლოდ ქუთაისია. საშემოდგომო სესიის დასრულებისას კი, პარლამენტში კიდევ ერთი საკონსტიტუციო ცვლილება შევიდა, რომლის თანახმად პრეზიდენტის უფლებამოსილება უქმდება, რომელიც პრეზიდენტს შესაძლებლობას აძლევდა მთავრობა გადაეყენებინა პარლამენტის ნების საწინააღმდეგოდ, ხოლო შემდეგ განუსაზღვრელი ვადით შეენარჩუნებინა მის მიერ დამტკიცებული მინისტრთა კაბინეტი. ამავე საკონსტიტუციო ცვლილებების ფარგლებში პრეზიდენტს შესაძლებლობა ეძლევა დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები ნებისმიერ დროს, მათ შორის, საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი პრეზიდენტის მხრიდან მთავრობისა და პარლამენტის დათხოვნასთან დაკავშირებით ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებს ხედავს.

**თამარ ჩუგოშვილი:**

– ცვლილება შეიძლება აუცილებელი იყოს იმ შემთხვევაში, თუკი შეუძლია ერთ პირს ქვეყანაში მთავრობის დათხოვნით რეალური კრიზისის საფრთხე გამოიწვიოს. ამ საფრთხის გამოწვევის შესაძლებლობა ხელოვნურად არავის არ უნდა ჰქონდეს, ჩვენ არ ვიცით ეს საფრთხე რამდენად რეალურია, რამდენად რეალურად დგას დღის წესრიგში. ასევე არ მიმაჩნია სწორად, რომ პარლამენტის დათხოვნის საკითხი უნდა გამარტივდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პრეზიდენტს პარლამენტის შეუზღუდავად დათხოვნის უფლებამოსილება არ უნდა მიეცეს და პარლამენტი არ უნდა დაზარალდეს იმის გამო, რომ მთავრობა უფრო დაზღვეული იყოს, – აცხადებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი თამარ ჩუგოშვილი.

მისივე თქმით, სწორედ სახალხო განხილვის პროცესში გამოჩნდება, რამდენად სწორი საკონსტიტუციო ინიციატივა არის წარმოდგენილი პარლამენტის მხრიდან.

ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილების ერთ-ერთი პროექტი გულისხმობს კონსტიტუციიდან იმ მუხლის ამოღებას, რომლის თანახმადაც პარლამენტის ადგილსამყოფელი მხოლოდ ქუთაისია. საშემოდგომო სესიის დასრულებისას კი, პარლამენტში კიდევ ერთი საკონსტიტუციო ცვლილება შევიდა, რომლის თანახმად პრეზიდენტის უფლებამოსილება უქმდება, რომელიც პრეზიდენტს შესაძლებლობას აძლევდა მთავრობა გადაეყენებინა პარლამენტის ნების საწინააღმდეგოდ, ხოლო შემდეგ განუსაზღვრელი ვადით შეენარჩუნებინა მის მიერ დამტკიცებული მინისტრთა კაბინეტი. ამავე საკონსტიტუციო ცვლილებების ფარგლებში პრეზიდენტს შესაძლებლობა ეძლევა დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები ნებისმიერ დროს, მათ შორის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.



**ნინო ლომჯარია „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელი:**

– მე, ბუნებრივია, შეკითხვები მაქვს: აპირებს თუ არა პარლამენტი მომავალში იმსჯელოს პარლამენტის თბილისში გადმოტანასთან დაკავშირებით. ეს საკითხი თუ დღის წესრიგში დგას, მაშინ საინტერესოა ამ ყველაფრისთვის საჭირო ფინანსები. რამდენად გამართლებულია პარლამენტის გადმოტანა და ეს იქნება თუ არა დაკავშირებული ნაკლებ ხარჯებთან. ასევე საინტერესოა დამატებითი არგუმენტაცია. რაც შეეხება მეორე კონსტიტუციურ ცვლილებას, ამ ცვლილებით რეალურად პრეზიდენტს ეზღუდება ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი, რის საფუძველზეც ის ამ წუთში ხდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთამაშე, რაც არის მთავრობის დათხოვნის უფლება და ენიჭება პარლამენტის დროში შეუზღუდავად დათხოვნის შესაძლებლობა. თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ის უფლება, რაც ამჟამად მას აქვს. ამიტომ, ბუნებრივია, მე მომხრე ვიქნები, რომ ამ სიტუაციაში პრეზიდენტმა და პარლამენტმა თანაცხოვრება შეძლონ. იმის ნაცვლად, კონსტიტუცია ისე შეიცვალოს, რომ პრეზიდენტი უმრავლესობას პრობლემებს არ უქმნიდეს.

პარლამენტის უმცირესობის წევრის ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, არსებობს საკითხები, რომელიც შეიძლება მოლაპარაკებას დაექვემდებაროს, მაგრამ არსებობს საკითხები, რომელზეც მოლაპარაკება ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შედგება.

– ეს უკავშირდება ზოგადად იმ ინიციატივას, რომელიც კოჰაბიტაციის პროცესის გაღრმავებას გულისხმობს. ამიტომ ეს საკითხი, ვგულისხმობ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც უკავშირდება პრეზიდენტის გარკვეულწილად უფლებამოსილების შეზღუდვას პარლამენტთან მიმართებაში, სწორედ ამ ერთიან კონტექსტში უნდა იქნას განხილული. არსებობს საკითხები, რომელზეც მოლაპარაკება შესაძლებელია და არის საკითხები, რომელზეც ვფიქრობთ, რომ მოლაპარაკება ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შედგება. თვენახევარი გვაქვს წინ, რომ შევძლოთ გარკვეული შეთანხმების მიღწევა.



პარლამენტის კიდევ ერთი ვიცე-სპიკერის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, კოჰაბიტაციის პროცესი არც ისე მარტივი აღმოჩნდა, როგორც ამას ქვეყნის გარეთ თუ შიგნით ელოდებოდნენ.

ძიძიგური მიიჩნევს, რომ აუცილებელია პრეზიდენტის ძალაუფლების დაბალანსება და მოსალოდნელი პოლიტიკური კრიზისების თავიდან აცილება. ზვიად ძიძიგურის განმარტებით, სწორედ ამის პერსპექტივას ხედავენ კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იმ საკონსტიტუციო პროექტში, რომელიც პრეზიდენტის მხრიდან პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნის საკითხს უკავშირდება.

– პრეზიდენტი წყევლა-კრულვაზეა გადასული და იმისათვის, რომ ნებისმიერი პოლიტიკური რყევა თავიდან იყოს აცილებული, საჭიროა კონსტიტუციაში ინიცირებული წინადადებების შეტანა. უმრავლესობაში იმედი აქვთ, რომ კონსულტაციების რეჟიმში საერთო ენას გამონახავენ უმცირესობასთან და საპარლამენტო ოპოზიციაც მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს, – აცხადებს ძიძიგური.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, უმცირესობაშიც არიან ადამიანები, ვინც ფიქრობს, რომ პარლამენტი თბილისში უნდა იყოს.

– საპარლამენტო უმცირესობაშიც არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ პარლამენტი უნდა იყოს თბილისში. ეს მარტო ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული, რა თქმა უნდა, მაშინ ჩვენ ამას ვერ განვახორციელებდით. კოჰაბიტაცია ისეთი წარმოდგენებით, როგორც იყო დანახული გარედან, შიგნიდან თუ როგორც გნებავთ, არ შედგა. საკმაოდ მწვავე გამონათქვამებს და ლამის წყევლა-კრულვას ვისმენდით საქართველოს პრეზიდენტისგან. ეს არის სწორედ ოქტომბრამდე განსახორციელებელი ცვლილება, რომ როგორმე რყევები თავიდან ავიცილოთ, – განაცხადა ძიძიგურმა.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით, როგორც კომისიის თავმჯდომარემ, მანანა კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, არ არის გამორიცხული, რომ არ იქნება განსაზღვრული პარლამენტის ადგილსამყოფელი კონკრეტულად თუ სად იქნება.

– ჩანაწერი, რომელიც ეხება პარლამენტის ადგილმდებარეობას, ის ამოღებული უნდა იქნას კონსტიტუციიდან ამ საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად. მთელი რიგი ქვეყნები არსებობს, სადაც კონსტიტუციებში არ არის მითითებული პარლამენტის ადგილმდებარეობა. შესაბამისად ეს არ შექმნის იმ პრობლემას, რომ პარლამენტი იქნება თბილისში, ქუთაისსა, ბათუმსა თუ სხვაგან, ეს არ შექმნის არანაირ პრობლემას, როდესაც არ იქნება კონკრეტული დათქმა რომელიმე ქალაქთან დაკავშირებით. შესაძლებელია ორივე ქალაქი იყოს, არც ეს არის გამორიცხული, – ამბობს მანანა კობახიძე.

როგორც ცნობილია, კომისიამ მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა იმუშაოს. შესაბამისად სხდომები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში უნდა ჩატარდეს და აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილების პროექტის განხილვა საჯაროდ უნდა მოხდეს.

კომისიამ მუშაობა დაახლოებით 4 თებერვლისთვის უნდა დაასრულოს. ერთთვიანი განხილვების შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლებს და სწორედ პარლამენტი უყრის კენჭს კონსტიტუციის ახალ რედაქციას. თუმცა, საკონსტიტუციო ცვლილებისთვის საპარლამენტო უმრავლესობას ასი და ასზე მეტი ხმა სჭირდება.

„ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავს პარლამენტში, თუმცა ისინი იმედოვნებენ, რომ დამოუკიდებელი დეპუტატების დახმარებით საკონსტიტუციო ცვლილებას განახორციელებენ.

# საქართველოში გრიპის ეპიდემიის საშიშროება ჯერ არ შეინიშნება

მერი ნამორაძე

**გრიპის სეზონმა ძალა იმდენად მოიკრიბა, რომ 31 წლის ქალბატონის სიცოცხლე იმსხვერპლა. „ეიჩ-1, ენ-1“ ვირუსი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში დაფიქსირდა. ბოლო პერიოდში უკვე „ბე“ ტიპის და „ეიჩ-1, ენ-1“ ტიპის ვირუსით დაინფიცირების 5 ფაქტია გამოვლენილი. როგორც წესი, გრიპის სეზონი გაზაფხულის პირველ თვეებამდე გასტანს. ვირუსის გავრცელების პიკს კი თებერვლის ბოლოსკენ ელოდებიან.**

ჯანდაცვის სამინისტრო ჯერჯერობით იმით გვამშვიდებს, რომ განსაკუთრებული არაფერი ხდება და არც ეპიდაფეთქების საშიშროებები ჩანს. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ადასტურებს, რომ გრიპით ინფიცირების შემთხვევები გაზრდილია, თუმცა საგანგაშო ნიშნულს გავრცელების მასშტაბები არ მიახლოებია. ინფიცირების შემთხვევების მატება, რა თქმა უნდა, საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ნაწილში, ბავშვებში შეინიშნება. ამ კონტინგენტში ვირუსული ინფექციების ფონზე მომატებულია ბრონხიტები, ბრონხოსპაზმების და პნევმონიის შემთხვევები.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, ინფექცია ძირითადად აზიანებს ცხვირს, ყელს და ფილტვებს. სეზონური გრიპით ყოველწლიურად ავადდება მოსახლეობის 5-15%. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონში გრიპის სეზონი იწყება მაშინ, როდესაც ადამიანები უფრო მეტად ხდებიან ავად.

გრიპი ადვილად მოგზაურობს. ჩვეულებრივ, ჰაერის საშუალებით ვრცელდება დახველების ან დაცემინებისას, ასევე დაბინძურებული ხელებით. ადამიანებმა შესაძლებელია გაავრცელონ გრიპის ვირუსი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გაიგებენ, რომ ავად არიან, რომელიმე სიმპტომის გამოვლენამდე ერთი დღით ადრე და შემდგომი 5-7 დღის განმავლობაში.

სიმპტომები შესაძლოა მოიცავდეს ცხელებას, შემცივნებას, ხველას, თავის და კუნთების ტკივილს, დაღლილობას. გრიპი ჩვეულებრივ საშუალო სიმძიმით მიმდინარეობს, თუმცა ხანდახან შეიძლება გამოიწვიოს მძიმე დაავადება და იშვიათ შემთხვევაში ფატალური გამოსავალი.

ეპიდემიოლოგთა თქმით, გრიპის გავრცელების შესაჩერებლად აუცილებელია

ჰიგიენის ძირითადი წესების დაცვა: დახველების ან დაცემინებისას აუცილებელია ქსოვილის მიფარება და შემდეგ მისი გადაგდება, დაცემინებისას უნდა აიფაროთ იდაყვი და არა ხელები, რეგულარულად უნდა იქნეს დაბანილი ხელები საპნითა და წყლით. თუ გაქვთ გრიპისმაგვარი სიმპტომები, დარჩით სახლში, სანამ არ დაგიწევთ ტემპერატურა, მაქსიმალურად უნდა მოერიდოთ სხვა ადამიანებთან კონტაქტს. აუცილებელია ოთახის ხშირი განიავება და სველი წესით დალაგება. გრიპისგან დაზღვევის საუკეთესო საშუალებად მედიკოსები პაციენტებს ვაქცინაციას სთავაზობენ, რომელიც უსაფრთხოა და გამოიყენება უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში. დაავადების მიმდინარეობა შესაძლოა უფრო მძიმე იყოს გარკვეულ ჯგუფებში: სეზონურ გრიპთან დაკავშირებული სიკვდილობის 90% გვხვდება 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანებში. შესაბამისად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ვაქცინაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარკვეული ჯგუფებისათვის. კერძოდ, ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ მოხუცებულთა თავშესაფრებში, ხანდაზმულები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ქრონიკული დაავადებით შეპყრობილნი, ორსულები, ჯანდაცვის მუშაკები და ბავშვები (6 თვიდან). ჯანმოს უახლესი რეკომენდაციების თანახმად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორსულებისა (ნებისმიერ ტრიმესტრში) და 6-59 თვის ასაკის ბავშვთა ჩართვა ვაქცინაციის ეროვნულ კალენდარში. სპეციალისტები ამბობენ, რომ იმის გამო, რომ ყოველ წელს ცირკულირებს სხვადასხვა ვირუსი, ყველაზე გავრცელებული ვირუსების შემცველი სეზონური ვაქცინა მზადდება ყოველწლიურად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ვაქცინაციის ყოველწლიურად ჩატარება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გრიპის შესაძლოა გართულდეს პნევმონიით, რაც მსოფლიოში ბავშვთა სიკვდილობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად პნევმონიით ხუთ წლამდე ასაკის 1.4 მილიონი ბავშვი იღუპება. ეს მაჩვენებელი უფრო მეტია, ვიდრე შიდსი, მალარია და ტუბერკულოზი ერთად აღებული.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, რომ პნევმონიის პრევენცია შესაძლებელია ვაქცინაციით, ადეკვატური კვებით და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფით; პნევმონიის მკურნალობა შესაძლებელია ანტიბიოტიკებით, თუმცა პნევმონიით დაავადებულ ბავშვთა მხოლოდ 30% იღებს აუცილებელ ანტიბიოტიკებს მსოფლიოში.

მწვავე რესპირატორული ინფექციის ეს ფორმა აზიანებს ფილტვებს. ყოველწლიურად პნევმონიით ხუთ წლამდე ასაკის 1.4 მილიონი ბავშვი იღუპება, რაც მსოფლიოში ბავშვთა საერთო სიკვდილობის 18%-ს შეადგენს. პნევმონიით გარდაცვლილ ბავშვთა 99% განვითარებადი ქვეყნებიდანაა. ბავშვები შეიძლება დავიცვათ პნევმონიისგან, პნევმონიის პრევენცია შესაძლებელია მარტივი ჩარევით და ექვემდებარება მკურნალობას იაფფასიანი პრეპარატებით შესაბამისი მოვლის პირობებში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამინდიც დაგვინდობს და ვირუსიც არ „მოგვაბეზრებს“ თავს ამ წელს, რადგან გრიპთან ბრძოლაც გვარიანად აცარიელებს მოქალაქეთა ჯიბეს.

# ვის შეხვდება სოციალურად დაუცველთათვის აშენებული ბინები?

მერი ნამორაძე

**დევნილი სამოქალაქო საზოგადოების კოალიციამ გუშინ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიმართა მოთხოვნით, რომ სოციალურ საცხოვრებელში სოციალურად დაუცველი ოჯახები სამართლიანად გადანაწილდნენ. როგორც კოალიციის ხელმძღვანელმა, ლელა გულედანმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა:**

– თბილისის მერია და „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო“ დიდი დიღმის მე-3 მიკრორაიონში სოციალურად დაუცველებისათვის საცხოვრებელ სახლებს აშენებს, სადაც ამჟამად 10 სოციალურად დაუცველი ოჯახი უკანონოდ შეიჭრა. ეს ოჯახები თხოვნით მიმართავენ სააგენტოს უშუამდგომლოს მერიასთან, რათა დატოვონ ამ სახლებში.

გულედანის თქმით, ისინი პარასკევს შეიჭრნენ შენობაში და იმ 91 ოჯახიდან დარჩენილი 10 ოჯახია, რომლებიც რამდენიმე თვის წინ მერიის წინ აქციებს მართავდა, რომელთა ნაწილი რკინიგზის საავადმყოფოში შეიჭრა, ნაწილი – სანდრა რულოვსის ბავშვთა სახლში. მხოლოდ ეს 10 ოჯახი დარჩა ჰაერში. ამ ოჯახებმა ჯანდაცვის სამინისტროსგან ქირის შეთავაზება მიიღეს, მაგრამ თანხის ჩარიცხვა ბოლო თვეს დროულად არ მოხდა და მეპატრონეებმა ქუჩაში გამოისტუმრეს.

გულედანის თქმით, ოჯახები რეალურად აკმაყოფილებენ ყველა კრიტერიუმს, რომელთა მიხედვით სოციალურად დაუცველთა კატეგორიები დგინდება. მერიაში ამჟამად 7 ათასამდე განცხადებაა შესული ბინის მოთხოვნის თაობაზე, თუმცა მერიის და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ მხოლოდ 300 ოჯახი აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს. გულედანის თქმით, ბინები ლოტოტრონის მეშვეობით უნდა განაწილდეს, რაც დაპირისპირებას იწვევს თავად სოციალურად დაუცველთა შორის. გულედანს სააგენტოში განუცხადეს, რომ მერია წყვეტს, ვინ მიიღებს ბინას, მერიში კი საპირისპიროს აცხადებენ:

– ისევ ატყუებენ ხალხს და სოციალურად დაუცველები არ ენდობიან მერიას. სოციალურად დაუცველები ითხოვენ მამუკა ქაცარავასთან შეხვედრას, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას გულედანმა.

საცხოვრებელი სახლი 24 ოჯახისთვის უკვე მზად არის სოციალურად დაუცველთა მისაღებად, შეყვანილია კომუნიკაციები, გარემონტებულია, მხოლოდ ავეჯის შეტანა რჩება მობინადრეთა შესახლებამდე, თუმცა შეჭრილ 10 ოჯახს დენი უკვე გამოურთეს.

მერის სოციალური სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა კოალიცია „დევნილი სამოქალაქო საზოგადოების“ ხელმძღვანელის ლელა გულედანის განცხადებას გამოეხმაურა. „ნიუსჯის“-თან საუბრისას ქაცარავამ აღნიშნა, რომ „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის“ სააგენტოს და თბილისის მერიის ერთობლივი პროექტის მიხედვით, დიდი დიღმის მე-3 მიკრორაიონში სოციალურად დაუცველებისთვის საცხოვრებელი სახლები შენდება, სადაც 24 ოჯახი უნდა შესახლდეს, თუმცა მანამდე, აღნიშნულ სახლებში უკანონოდ შეჭრილმა 10 ოჯახმა სახლები უნდა დატოვონ. მისივე თქმით, მერიაში 7000-მდე განცხადებაა შესული, თუმცა მერიისა და „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის“ სააგენტოს ერთობლივი კრიტერიუმების მიხედვით, 300 ოჯახი აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს.

„უკანონოდ შეჭრილ ოჯახებს ვერ დავტოვებთ სახლებში, რა პასუხი გავცეთ იმ სამას ოჯახს, რომლებიც უკიდურესად გაჭირვებულები არიან და ელოდებიან ბინებით დაკმაყოფილებას. ამ ყველაფერთან ერთად თუ ყველაფერი გამჭვირვალედ და წესის მიხედვით არ ჩატარდა, ჩვენ შვეიცარიის მხარესთან დავკარგავთ ნდობას. ეს იყო შვეიცარიის და საქართველოს ერთობლივი პროექტი და ეს ბინები შვეიცარიელი ხალხის ფულით შენდება“, – განაცხადა მამუკა ქაცარავამ.



# გიორგი მგალობლიშვილი: „ხელისუფლებას ვთხოვ, მომანიჭოს პოლიტდევნილის სტატუსი“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

იცვალა მესამე დღესაც. შემდეგ ეს ქონება ჩააგირავეს ბანკში, გამოიტანეს 12 მილიონიანი კრედიტი და ერთ დღეშივე დაჯდა მათივე ანგარიშზე ეს 12 მილიონი. ბანკმა ამხელა კრედიტი მისცა ყველანაირი პროცედურების დაცვის გარეშე. ძალიან მაინტერესებს, საქართველოში რომელი ბანკი იძლევა ამხელა კრედიტს ყოველგვარი ფინანსური გარანტიების გარეშე.

*– რაში დასჭირდათ 12 მილიონიანი კრედიტი?*

– მათივე თქმით, ეს ფული მოახმარეს პრეზიდენტის წინა საარჩევნო კამპანიას. ძალიან საინტერესოა ერთი გარემოება, საქართველოს ბანკმა, რომელმაც ეს სესხი გასცა, ერთ კვირაში მისი მმართველი ლადო გურგენიძე, ხდება პრემიერ-მინისტრი. იმდენად ღიად მოქმედებდნენ, რომ არა პირველი პირების ჩარევა და დაინტერესება, ამდენს ვერ გაბედავდნენ. ამდენი წელია საქართველოში ბიზნესს ვაწარმოებთ და ხომ წარმოგიდგენიათ, რა ზომებს არ მივმართავდით, რომ თავი დაგვეცვა, მაგრამ იმდენად ტოტალური ზეწოლა იყო, რომ პროკურატურა, ბანდიტები, განგსტერები, ყველა ერთად მოქმედებდა ჩვენ წინააღმდეგ. თუკი სამართლიანია მათი ქმედება, როგორ შეიძლება პროკურატურა ბანდიტებთან ერთად შეხმატკბილებულად მოქმედებდეს?! 9 კაცი იქნა ჩვენი მხრიდან პასუხისგებაში მიცემული. 9 კაცი ერთად მგონი სამოქალაქო გადატრიალების დროს არ დაუკავებიათ. ყველა მათგანის აღიარებითი ჩვენება ერთნაირია, ისინი აცხადებენ, რომ მათ არ იციან, რა დანაშაული ჩაიდინეს, თუმცა, რადგან პროკურატურა ამბობს, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს, ე.ი. დანაშაული ჩაუდენიათ... ისინი, ვინც არ წავედით გარიგებაზე, ჩვენს წინააღმდეგ საქმე სასამართლოში წავიდა. პირველ ინსტანციაში სასამართლო წავაგეთ, თუმცა ყველა ეს საქმე ავსტრალიელების მიერ გასაჩივრებულია სტრასბურგში და ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა.

*– თქვენ რას გედავებიან, რატომ წაგიყენეს ბრალი?*

– იქ ასეთი სცენარი იყო დადგმული, საერთოდ ესენი უცხოელებისთვის ბიზნესის წართმევას ხომ ერიდებიან და... ზუსტად იგივე სცენარით იმოქმედეს, როგორც კვარციტში. მათ დაწერეს, რომ ვითომ ავსტრალიელები საერთოდ არ არსებობენ, ინდოელები არ არსებობენ, ანუ არანაირი უცხოური ინვესტიცია არ განხორციელებულა, არის მხოლოდ საქართველოს მოქალაქე გიორგი მგალობლიშვილი და რატომ უნდა ჰქონდეს მგალობლიშვილს და არ უნდა ჰქონდეს მიშა სააკაშვილს? აი, ეს ლოგიკა იყო. ჩემ მიმართ წაყენებული ბრალდება აბსოლუტურად მოგონილია, ჩემს ბრალდებას ძალიან კარგად იცნობს საქართველოს ახლანდელი გენპროკურორი არჩილ კბილაშვილიც, მას დასკვნაც აქვს ამ საქმეზე დაწერილი.

ბრალდების არსი, რომელიც ჩემ მიმართ არის წაყენებული, არის ასეთი, რომ ვითომ მე განვახორციელე ინვესტიცია, ვითომ მე ვიყიდე ქარხანა, მე ავაწყე ღვინის ბიზნესი, ეს სრული აბსურდია, მაგრამ თუნდაც მე ვყოფილიყავი ინვესტორი, მე ვყოფილიყავი მფლობელი, ამით რა იცვლებოდა? რა, აკრძალულია ინვესტიცია? აკრძალულია მფლობელობა? საქმის მასალებში აბსოლუტურად გამჭირვალედ ჩანს, ვინ არის უცხოელი აქციონერები, ვისგან მოდის ფულადი სახსრები და რაში რაა გახარჯული. ჩემ მიმართ წაყენებული ბრალდება იყო სრულიად დაუჯერებელი. ვიმეორებ, თუკი პროკურატურა კანონის ფარგლებში მოქმედებდა, თვითონ რატომ დარბოდა გადაფორმების ყველა დეტალზე, საჯარო რეესტრშიც კი თავად მიჰყავდა ხალხი და გავიმეორებ, როგორ შეიძლება პროკურატურა მოქმედებდეს ბანდიტებთან ერთად. ჩვენზე ხდებოდა ზეწოლა როგორც პროკურატურის მხრიდან, ისე შეიარაღებული საძმოს წევრების მხრიდან, რომლებიც კონკრეტულად გეგმავდნენ ჩემი შვილის გატაცებას, მემუქრებოდნენ ოჯახის დარბევით, მშობლების მოკვლით. როცა იცი, რომ იმ ადამიანს, რომელიც მუქარას ახორციელებს, მანამდე 14 კაცი მაინც ჰყავს მოკლული, ამ მუქარას დაიჯერებ და რეალურად მიიღებ.

ლონდონში ამ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმეები. მთელი ეს გამოძალვის პროცესი ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ყველაფერს ამას სკოტლანდიარდი აფიქსირებდა, ყველა ჩანაწერი გაკეთებულია, ყველა ეს მასალა გადაცემულია სტრასბურგის სასამართლოში.

*– ბატონო გიორგი, როგორია დღეს თქვენი პოზიცია, რას ითხოვთ ახალი ხელისუფლებისგან?*

– პირადად ჩემს საქმესთან დაკავშირებით მე ვითხოვ ჩემი პირადი საქმის გადახედვას და იმ ბრალდების მოხსნას, რომელიც ჩემ მიმართ არის წაყენებული. რაც შეეხება ავსტრალიურ კომპანიას, მათ სურთ საქართველოში საქმიანობის გაგრძელება. ისინი საკმაოდ მსხვილი ინვესტორები არიან სომხეთშიც, აზერბაიჯანსა და ყირგიზეთშიც. ისინი ითხოვენ, რომ ეს ქარხანა, რომელიც უკანონოდ იქნა წართმეული, უკან დაუბრუნდეთ. მათი ხელწერა ყველგან ერთი და იგივე იყო. ზუსტად იგივე მოხდა, მაგალითად, რაც ტელეკომპანია „იმედში“, მივარდნა სპეცრაზმით და შემდეგ წილების გადაფორმება გაურკვეველ ოფშორულ კომპანიაზე, ან ვინმე ნაკლებად ცნობად სახეზე, ვითომ ბიზნესმენზე. ეს ქონება საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ გიორგი მგალობლიშვილს კი არ ჩამოართვა, არამედ ჩამოართვა ინვესტორთა სერიოზულ ჯგუფს.

*– ბატონო გიორგი, დღეს თქვენ პოლიტდევნილი ხართ?*

– ოფიციალურად მე ინგლისის მთავრობის და ევროკავშირის მიერ მონიჭებული მაქვს პოლიტდევნილის სტატუსი. ჩემი პირადი საქმე ასევე სტრასბურგის სასამართლოში იხილება. მე ამ ხელისუფლებასაც ვთხოვ, რომ გადახედოს ჩემს საქმეს და მომანიჭოს პოლიტდევნილის სტატუსი, რომელიც ინგლისის მთავრობამ უკვე მომანიჭა. ჩვენ ამ ექვსი წლის განმავლობაში ერთი წუთითაც კი არ შეგვიწყვეტია ბრძოლა. თუკი სადმე მოვახერხებდით და უცხოეთში შევხვდებოდით სააკაშვილს, სულ ერთი და იმავეს ვეკითხებოდით, ქარხანა მართლა შენ წაიღე თუ არაო და მას ჩვენს კითხვაზე არასდროს პასუხი არ გაუცია.

*– ბატონო გიორგი, როდესაც წაართვეს უცხოელებს ღვინის ქარხანა, თუ გაქვთ ინფორმაცია, ამის შემდეგ რა ბედი ეწია მას?*

– ჩვენი წასვლის შემდეგ თუკი რამე იყო ქარხანაში, ყველაფერი დახერხეს და ჩააბარეს ჯართში. იქ იყო 200 ათასი ტონა ღვინის ალუმინის საცავები, ცისტერნები, რომელიც დაჭრეს და ჯართში ჩააბარეს. ეს ცისტერნა რომ იყიდო თითო 50 ათასი დოლარი ღირს და ჯართში რომ აბარებ, დიდიდიდი მიიღო 500 დოლარი. რამდენიმე მილიონიანი საცავები ჯართში ჩააბარეს. საკმაოდ კარგი ოფისი იყო და მთლიანად გაძარცვეს, არ დატოვეს არაფერი. ქარხანა აბსოლუტურად გაძარცვეს, ერთადერთი, კედლები ვერსად წაიღეს, ჯერჯერობით ადგილზეა, თორემ რისი წაღებაც შეიძლებოდა, ყველაფერი წაიღეს. როგორც შემდეგ გავიგეთ, მათ ეს ტერიტორია სჭირდებოდათ და იქ აპირებდნენ საცხოვრებელი კორპუსების აშენებას. დადიოდნენ ნახაზებით და ამ საქმის გამომძიებელ შანშიაშვილს სამოთახიან ბინას პირდებოდნენ იმ კორპუსში, რომელიც უნდა აშენებულიყო ქარხნის ტერიტორიაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმასაც, რომ ეს ქარხანა უკვე ისტორიული ძეგლია, ამდენი წლისაა, ქარხანა გარშემორტყმულია კორპუსებით და იქ კიდევ ორი ახალი კორპუსის აშენების უფლებას თვითონ მოსახლეობა არავის მისცემდა.

მთელი ექვსი წელი ეს ქარხანა მიგდებული იყო, არანაირი ბიზნესი იქ არ უწარმოებიათ. როდესაც ჩვენ საჩივარი შევიტანეთ პროკურატურაში ორი კვირის წინ და ვითხოვთ ქარხნის უკან დაბრუნებას, ახლა კვლავ გააქტიურდნენ. იმის მაგივრად, რომ კომპრომისზე წასულიყვნენ და ქარხანა დაებრუნებინათ, ან აღიარებითი ჩვენება მიეცათ პროკურატურისთვის, ახლა კიდევ ახალ მფლობელს ეძებენ, რომ მის სახელზე გადააფორმონ ქარხანა. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს იმ დროინდელი მმართველი გუნდის ინტერესებში შედიოდა.

ჩვენი კომპანიის საქმიანობა აბსოლუტურად სუფთა და გამჭირვალეა. საქართველოს ახალი ხელისუფლების ინტერესებში ალბათ არ უნდა შედიოდეს კარგი და ძლიერი ინვესტორის დაკარგვა.

# მოსალოდნელი მოულოდნელობების წელი

**გასულმა 2012-მა წელმა, რომელიც საქართველოს ისტორიაში იმედიანი ცვლილებების წლად შევა, თავისი მოლოდინი გაამართლა და ასევე იმედიანი ესტაფეტა გადასცა 2013 წელს, რომელიც, მისი წინამორბედის მაგალითს თუ გავითვალისწინებთ, არანაკლები, სავარაუდოდ, პოზიტიური სიახლეებით იქნება გამორჩეული.**

ამასთან, ახალი ხელისუფლების ქმედებების შეფასება, რეალურად, 2013 წლის შემდეგ მიღწეული წარმატების თუ წარუმატებლობის მიხედვით უნდა მოხდეს, რადგან სწორედ 2013 წლიდან შეიძლება მას სრული პასუხისმგებლობა დავაკისროთ ქვეყანაში მომხდარ ნებისმიერ მოვლენაზე, იქნება ის პოზიტიური თუ ნეგატიური. ვინაიდან ყველა იმ სოციალურ საკითხს, რომელიც საზოგადოებისთვის პრიორიტეტულია, თავისთავად ბიუჯეტი განსაზღვრავს, ხოლო ბიუჯეტის როგორც შედგენაზე და მისი პრიორიტეტების განსაზღვრაზე, ასევე მის შესრულებაზე, პასუხს 2013 წლიდან, ახალი მთავრობა აგებს. აქედან გამომდინარე, მსოფლიოში მიღებული 100 დღიანი მორატორიუმის პრაქტიკა, საქართველოს რეალობაში შესაძლებელია რამდენადმე ტრანსფორმირდეს და ამას თავისი ლოგიკური ახსნა ექნება.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ მოულოდნელობებს, მისი ნაკლებობა, განსაკუთრებით ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სავარაუდოდ არ იქნება.

როგორც მოსალოდნელი იყო, მედიაში უკვე გაჟღერდა ინფორმაცია კოალიცია „ქართული ოცნების" შესაძლო დაშლის შესახებ, რაც პრემიერის რამდენიმე განცხადების შემდეგ, რომელიც შიდა კონკურენციის გაძლიერებას ეხებოდა, სავსებით პროგნოზირებადი იყო.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ბერძენიშვილის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, კოალიციაში შემავალი სუბიექტები სავარაუდოდ დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას, სწორედ იმ განცხადებების ლოგიკური გაგრძელებაა, რომელსაც პრემიერი ჯერ კიდევ გასულ წელს აკეთებდა.

აქ მოულოდნელი არაფერია და სავსებით შეიძლება დავეთანხმოთ ბერძენიშვილის პოზიციას, რომ დასავლეთის ვერცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში, არჩევნებს, რაოდენობრივად ასეთი შემადგენლობის კოალიცია ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიგებდა. მართლაც სასურველია, რომ ქართულ პოლიტიკურ რეალობაში პარტიული ინდივიდუალიზმი განვითარდეს, რაც თავის მხრივ, იქნება საუკეთესო ტესტი საზოგადოების დამოკიდებულებისა ამა თუ იმ პარტიის მიმართ. ეს პროცესი პარტიებს იძულებულს გახდის მუდმივი კონკურენციის რეჟიმში იმუშაონ, რაც საბოლოო ჯამში, ერთხელ და სამუდამოდ, ჯანსაღი და თანაბარი კონკურენციის პირობებში ჩატარებულ არჩევნებამდე მიგვიყვანს.

რომ დავუბრუნდეთ კოალიციის დაშლის შესახებ გავრცელებულ ხმებსა თუ პროგნოზებს, აქ საგულისხმო ერთი ფაქტია – ვის მიერ და რა ფორმით გაჟღერდა ინფორმაცია, რომელმაც მედიას ასეთი პროგნოზების გაკეთების საშუალება მისცა.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ ლევან ბერძენიშვილის განცხადებას პრემიერი მყისიერად გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია თუ რატომ გააკეთა მსგავსი განცხადება რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა.

სავარაუდოდ, ლევან ბერძენიშვილმა გააჟღერა ინფორმაცია, რომელიც ჯერ კოალიციის შიგნით იხარშება, იხვეწება და მისი განსაჯაროება ამ ეტაპზე, მათ ინტერესებში არ შედიოდა. ნაკლებსავარაუდოა, რომ ისეთი გამოცდილების და ინტელექტის მქონე პოლიტიკოსს როგორიც ლევან ბერძენიშვილია, ეს განცხადება გაუთვლელად, პოლიტიკური მიამიტობის შედეგად გაეკეთებინა. რეალობასთან უფრო ახლოსაა ვერსია იმის შესახებ, რომ მან ის პრევენციის მიზნით გააკეთა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, შიდაკონკურენცია უკვე საკმაოდ მაღალ დონეზეა, თუმცა ეს გარე თვალისთვის ჯერჯერობით შეუმჩნეველია.

ამ ვერსიას ამყარებს ერთი პრეცედენტიც. კონკრეტულად კი, ასევე რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის და ლევან ბერძენიშვილის ძმის, დავით ბერძენიშვილის მიერ, არჩევნებამდე ჩატარებული პრესკონფერენცია, როცა მან თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, საქმე ამ შემთხვევაშიც პრევენციასთან გვქონდა, თუმცა მაშინ მაჟორიტარობის საკითხი კოალიციის სუბიექტებს შორის უმტკივნეულოდ მოგვარდა, ყოველ შემთხვევაში საზოგადოებამდე ამ თემასთან დაკავშირებით არსებული დაპირისპირების შესახებ ინფორმაცია არ მისულა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ იანვრის თვეშივე, პრემიერი თავისი პარტიის ყრილობის ჩატარებას გეგმავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სულ მოკლე ხანში, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, უფრო აქტიურად, ახალი, ძლიერი და სტრუქტურულად ჩამოყალიბებული მოთამაშე შემოვა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეძლებს ჩაანაცვლოს კოალიციაში შემავალი ნებისმიერი სუბიექტი ან სუბიექტები როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც.

ამ ლოგიკით, გასაგებია პრემიერის პოზიცია, როდესაც ის, პრეზიდენტ სააკაშვილის თანამდებობაზე დარჩენის პრაქტიკულად 10 თვით გახანგრძლივებას ემხრობა.

მართალია პრემიერი ამას დასავლეთის ფაქტორით ხსნის და აცხადებს, რომ იანვარში სააკაშვილის თანამდებობიდან გაშვება დასავლელი მეგობრებისთვის ძნელად ასახსნელი იქნება, მაგრამ ფაქტია, რომ როცა საქმე ქვეყნისთვის საჭირო პრინციპულ გადაწყვეტილებებს ეხება, ახალი ხელისუფლება ძირითადად მხოლოდ პრაგმატული მოსაზრებებით ხელმძღვანელობს და უცხოელი რეკომენდატორების აზრს, თუ ის საქართველოსთვის პოზიტივის მომტანი არაა, ნაკლებად ითვალისწინებს. ეს რა თქმა უნდა ასეც უნდა იყოს, თუ ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, ნორმალური და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობაზე გვაქვს პრეტენზია.

არსებული სურათიდან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილს პრეზიდენტის სკამზე, დღეს მიხეილ სააკაშვილი სჭირდება. მითუმეტეს, რომ სააკაშვილი პრაქტიკულად ბუტაფორიულ პრეზიდენტად იქცა, რომლის ვეტოსაც კი, პარლამენტი ყოველგვარი დიდი ძალისხმევის გარეშე სძლევს.

სამაგიეროდ, მიხეილ სააკაშვილს ხელთ აქვს კანონიერი ბერკეტი დაითხოვოს პარლამენტი. ამ ბერკეტს ბიძინა ივანიშვილი, სააკაშვილს საჭიროების შემთხვევაში აამოქმედებინებს და თუ საჭიროდ ჩათვლის, საკანონმდებლო ორგანოზე თავის გავლენას მნიშვნელოვნად გაზრდის.

აქვე აღსანიშნავია, რომ პრინციპულ საკითხებზე, პარლამენტის უმრავლესობა ჯერჯერობით ერთსულოვნებას ინარჩუნებს და შესაძლებელია ამ ბერკეტის ამოქმედება პრემიერს არც კი დასჭირდეს, თუმცა ის ივანიშვილის პოლიტიკური ბრძოლის არსენალში რა თქმა უნდა დარჩება.

მიუხედავად იმისა, რომ განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები დღეს თუ ვინმეს არ აწყობს, ეს მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობაა", მაგრამ რაიმე სახის გარანტიების მიღების შემთხვევაში, სააკაშვილი პარლამენტში უმცირესობასაც დათმობს და ეს მოულოდნელი არ უნდა აღმოჩნდეს არც საზოგადოებისთვის და არც თავად „ნაციონალური მოძრაობისთვის." რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საზოგადოებამდე სათანადო სოუსით იქნება მიტანილი და სააკაშვილზე ფანატიკურად და უანგაროდ შეყვარებულთა რიცხვის მნიშვნელოვან შემცირებას ის არ გამოიწვევს.

ხოლო იმის თქმის შესაძლებლობას, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" განმეორებითი არჩევნები არ აწყობს და მას ასეთ შემთხვევაში შეიძლება ფრაქციის შექმნაც კი გაუჭირდეს, იძლევა არა მარტო ის არგუმენტები, რომ მათ აღარ ექნებათ უპირატეს მდგომარეობაში საარჩევნო კამპანიის ჩატარების და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლებლობა, არამედ ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები, რაც საზოგადოების და რიგითი ამომრჩევლის თვალით მკვეთრად პოზიტიურად აღიქმება.

პოზიტიურად აღიქვა საზოგადოებამ ავღანეთში დაღუპული ჩვენი კიდევ ერთი თანამემამულისადმი უმაღლეს დონეზე პატივის მიგება, რაც შეიძლება მთლიანი პოლიტიკური სურათის ფონზე არცთუ მნიშვნელოვნად ჩანდეს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, როცა წინა ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა გაესაიდუმლოებინა ავღანეთში დაღუპულთა და დაჭრილთა შესახებ ინფორმაცია, როცა საშიმშილოდ დამჯდარ, აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომის ვეტერან გმირებს, ახალ წელს გმირთა მოედნის მემორიალიდან ყრიდა და მათ იმ სასაცილო დახმარებასაც კი უხსნიდა, საზოგადოებამ მებრძოლისადმი პატივის ასეთ დონეზე მიგება ძალიან დადებითად მიიღო, რაც გარდა საზოგადოებისა, ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისთვისაც დამატებითი მორალური მოტივაციაა.

დადებითად მიიღო აგრეთვე საზოგადოებამ და პირველ რიგში ჯარისკაცების ოჯახების წევრებმა პრემიერის განცხადება, როცა ის ჩვენი შეიარაღებული ძალების წევრებისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე საუბრობდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

სწორედ ეს და სხვა მსგავსი ერთი შეხედვით „უმნიშვნელო" განცხადებები თუ ქმედებებია იმის განმაპირობებელი ფაქტორი, რომ საზოგადოებამ საჭიროების შემთხვევაში რეალური არჩევანი კიდევ ერთხელ გააკეთოს, რომლის შედეგებიც „ნაციონალური მოძრაობისთვის" სახარბიელო ნამდვილად არ იქნება.

საზოგადოება უკვე კარგად არჩევს პიარს და რეალურ ქმედებებს, ყოველ შემთხვევაში ის, რომ მიხეილ სააკაშვილის ავღანეთში საახალწლოდ სტუმრობა პიარის ნაწილი იყო, ხალხი ძალიან კარგად მიხვდა. უფრო მეტიც, საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია მედიის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ თითქოსდა მიხეილ სააკაშვილი ახალ წელს ტყვიის წვიმაში შეხვდა, რის შემდეგაც, ჩართული კამერის წინ, პრეზიდენტი ტელეფონით ეკითხებოდა სხვადასხვა ნაწილების მეთაურებს, „ჩაიარა თუ არა მათთან სროლამ."

თუ ამ კადრებმა საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია, ეს გრძნობა გაკვირვებამ და ირონიამ ჩაანაცვლა, როცა პრეზიდენტის დელეგაციის შემადგენლობის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია.

სხვა პირებთან ერთად, როგორც მოგეხსენებათ, ავღანეთში, მიხეილ სააკაშვილს ორი ქალბატონი, მათ შორის პარლამენტის წევრი ახალგაზრდა გოგონაც ახლდა. ავღანეთიდან კი პრეზიდენტი, დელეგაციის წევრებთან ერთად დუბაიში გაფრინდა.

არავითარი ეჭვის საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ მიხეილ სააკაშვილის დუბაიში ვიზიტი საქმიანი არ იქნება, მაგრამ ავღანეთში, იმ ცხელ წერტილში, სადაც თავად პრეზიდენტმაც კი ტყვიების წვიმის ქვეშ გაათენა, ორი ქალბატონის წაყვანა და მათი საფრთხის ქვეშ დაყენება, საზოგადოებამ ვერაფრით ვერ ახსნა.

ვერაფრი ვერ ახსნა აგრეთვე საზოგადოებამ მიხეილ სააკაშვილის მიერ ახალი წლის მილოცვად წოდებული ტექსტის შინაარსი. უფრო მეტიც, პრეზიდენტის მილოცვა მსმენელმა მუქარად ან გნებავთ კოჰაბიტაციის პრინციპების დარღვევად მიიღო და არცთუ უსაფუძვლოდ.

რაც შეეხება თავად კოჰაბიტაციას, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა ჟურნალისტების მიერ წლის სიტყვად დასახელდა, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მიერ დიდად მოწონებული არაა, მითუმეტეს, რომ „კოჰაბიტაციის პროცესი" ხშირად ცალმხრივ ხასიათს ატარებს.

საზოგადოებაში კვლავ არსებობს კითხვები ჩვენი სამართალდამცავი და საგამოძიებო სამსახურების მოქმედებების შესახებ, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს უდავოდ მაქსიმალურად მაღალ დონეზე აყენებენ, თუმცა საზოგადოება მეტს მოითხოვს და საკმაოდ სამართლიანად.

სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს საფრთხე, რომ ხალხმა, რომელთა უფლებები ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ფეხქვეშ ითელებოდა და რომლებმაც ამ პერიოდის განმავლობაში პრაქტიკულად მომავალი დაკარგეს, სამართლის გაჩენა თავად მოინდომონ, რაც ქვეყნის შიდა პოლიტიკური ცხოვრებისთვის და საგარეო იმიჯისთვის დამღუპველი იქნება.

ძალიან ბევრ კითხვაზეა პასუხი გასაცემი და ძალიან დიდია იმ ყოფილ ჩინოვნიკთა რიცხვი, ვინც ამ კითხვებზე პასუხი უნდა გასცეს. ეს საზოგადოების დაკვეთაა და ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა, მათ შორის პრემიერის განცხადებაც იმასთან დაკავშირებით, რომ წინა რეჟიმის დროს არსებული სისტემის იმ სუბიექტებს, ვინც დანაშაულებრივ გარემოს არ ქმნიდა და მხოლოდ შემსრულებელი იყო, უნდა მიეტევოს, საზოგადოებაში მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

საზოგადოება ნამდვილად არაა მზად მიუტევოს იმ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ და ადამიანებს ჯერ ცემით ხოცავდნენ, ხოლო შემდეგ მიცვალებულებს მაღაზიის თავზე ალაგებდნენ, საზოგადოება ვერ მიუტევებს ადამიანებს, რომლებიც მახინჯი სისტემის ნაწილი იყვნენ და პატიმრებს სკამის ფეხით და ცოცხით აუპატიურებდნენ, საზოგადოება ვერ მიუტევებს ადამიანებს, ვინც წინა სისტემის სახელით მათ უფლებებს ფეხქვეშ თელავდა.

სწორედ ესაა ყველაზე დიდი საფრთხე დღეს საქართველოში, რომ სააკაშვილის ხელისუფლებისგან გამწარებულმა და მომავალმოსპობილმა ადამიანებმა, რომლებსაც დასაკარგი უკვე აღარაფერი აქვთ, საკუთარი სამართლის გაჩენა თავადვე მოინდომონ. ძალიან დიდია საფრთხე იმისა, რომ, თუ ეს ადამიანები დაინახავენ, რომ სახელმწიფო მანქანა ვერ უზრუნველყოფს სამართლის აღდგენასა და დამნაშავეთა დასჯას, საკუთარი ღირსების დაცვას ან თუ გნებავთ უბრალოდ შურისძიებას, ისინი თავადვე შეეცდებიან, რაც კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უდიდესი საფრთხის მატარებელია. მითუმეტეს, რომ ხალხში უკვე გაჩნდა განწყობა იმისა, რომ მათ ხმა სამართლიანობის აღდგენას მისცეს და არა კოჰაბიტაციას, რომლის მნიშვნელობაც, ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ 1 ოქტომბერს არც კი იცოდა.

ასე, რომ ახალი 2013 წელი ნამდვილად ძალიან საინტერესო და სიახლის მომტანი იქნება, თუმცა რა თქმა უნდა იარსებებს საფრთხეებიც, რომლებსაც ახალი ხელისუფლება ღირსეულად უნდა დაუპირისპირდეს და პირველ რიგში ხალხის დაკვეთა შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკმაყოფილოთა რიცხვის ზრდა საწყის ეტაპზე შეიძლება შესამჩნევი არც იყოს, მაგრამ ის აუცილებლად იჩენს თავს სამომავლოდ და შესაძლებელია გაცილებით უფრო მეტი პრობლემა შექმნას, ვიდრე ამის წარმოდგენა დღესაა შესაძლებელი.

**ალექსანდრე კაპანაძე**
**სააგენტო „ნიუსპრესი"**

## საქალაქო სასამართლომ ეროსი კიწმარიშვილის კომპანიის სარჩელი არ დააკმაყოფილა



თბილისის საქალაქო სასამართლომ „სტუდია მაესტროს" პარტნიორების და შპს „სტუდია მაესტროს" წინააღმდეგ, „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის" სარჩელი არ დაკმაყოფილა.

საქალაქო სასმართლოს ცნობით, მოსარჩელე „რუსთავის მედიის მართვის კომპანია" მოპასუხისთვის. მის სასარგებლოდ 7 341 670 ლარის დაკისრებას მოითხოვდა.

მხარეებს შორის დავის საგანს წარმოადგენდა „სტუდია მაესტროსა" და „რუსთავის მედიის მართვის კომპანიას" შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ასევე ზიანის ანაზღაურება საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის.

შეჯიბრობითობის და თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, მათ შორის მხარეთა ახსნა-განმარტებების შესწავლის შედეგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით ვერ დაასაბუთა აღძრული სარჩელი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე ყადაღა მოეხსნა შპს „სტუდია მაესტროს" პარტნიორების წილებს. შესაბამისად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე პარტნიორებს აღუდგებათ კუთვნილი წილების გასხვისების უფლებაც.

აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემიდან 14 დღის ვადაში.

შეგახსენებთ, რომ „რუსთავის მედიის მართვის კომპანიასა" და მაესტროს შორის დავა მას შემდეგ დაიწყო, რაც 2011 წლის ნოემბერში „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის" მფლობელი ეროსი კიწმარიშვილი „მაესტროს" შენობის დაკავებას შეეცადა.

**მედიანიუსი**

## გია თორთლაძის ფილმის „ევერესტი – ორმაგი გასროლა" ჩვენება გაიმართება



დღეს, 17.00 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში გაიმართება გია თორთლაძის ფილმის „ევერესტი – ორმაგი გასროლა" ჩვენება.

ფილმში ორი ექსპედიციის დროს გადაღებული კადრებია გამოყენებული. 2001 და 2012 წლებში ალპინისტმა ევერესტი ორი სხვადასხვა მხრიდან – ტიბეტიდან და ნეპალიდან დაიპყრო.

მსოფლიოს ყველაზე მაღალი წერტილიდან მთავარი გზავნილი იყო – „საქართველო ოკუპანტების გარეშე." სწორედ ამ წარწერით აღმართა დროშა გია თორთლაძემ მწვერვალზე.

**მედიანიუსი**

# ქუთაისში თეატრალური კვირეული მიმდინარეობს

ეკა ირემაშვილი

ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში თეატრალური კვირეული მიმდინარეობს, რომელიც ქართული თეატრის დღეს ეძღვნება და 15 იანვრამდე გაგრძელდება. მასში მონაწილეობას იღებენ ქვეყნის წამყვანი თეატრალური დასები. კვირეული ქალაქის მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით იმართება და ის ქართული თეატრის დღეს ეძღვნება. თეატრალური კვირეული გამოფენით გაიხსნა, რომელიც ქართული თეატრალური ცხოვრების ისტორიას ასახავს.

8 იანვარს ქუთაისელი მაყურებლის წინაშე ახმეტელის თეატრი წარსდგა რეჟისორ დიმა ხვთისაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლიც „პანთეონი“, რომლის პიესის ავტორიც ლაშა ბუღაძეა. ერთმოქმედებიანი თანამედროვე კომედიის მხატვარი აივენგო ჭელიძეა, მუსიკალური გაფორმება კი ლექსო ტურიაშვილს ეკუთვნის. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები მამუკა მაზავრიშვილი (კონსტანტინე უნგიაძე), თამარ ბეჟუაშვილი (ზეინაბ უნგიაძე), შალვა ბახტაძე (სანდრო უნგიაძე), ნელი ბადალაშვილი (ელისო), ვაჟა ციცილოშვილი (ვიქტორ ანჩაბაძე), მზია ტალიაშვილი (ვერა ედისონი-ანჩაბაძე), ვალერი ტორონჯაძე (ნოდარ მუხიგული), კახა ჟორჟოლიანი (ვალერიან ლოლაძე), კახა ჯოხაძე (ზურაბ მელიქიძე), ლიკა ქუთათელაძე (სკოლის მასწავლებელი ქალი), თამთა პატაშური (ექთანი), ანდრო სარიშვილი (სერგო ფოტოგრაფი), ჯაბა ჯაფარიძე (თემური), კახა ჟორჟოლიანი, კახა ჯოხაძე, ანდრო სარიშვილი, ჯაბა ჯაფარიძე (მილიციელები) და ალექსი მაჭავარიანის სახელობის 26-ე ხელოვნების სკოლის მოსწავლეები გიორგი თექთურმანიძე, საბა ცოტნიაშვილი, სოფო ყველაშვილი, მაკა სულხანიშვილი, მარიამ ხუციშვილი და მარიამ ჩიკვილაძე. თუმცა ახმეტელის თეატრის დასი ქუთაისში შეცვლილი შემადგენლობით ჩავიდა. „პანთეონში“ პირველად მიიღეს მონაწილეობა ვახო ადეიშვილმა, რომელმაც მსახიობი შალვა ბახტაძე სანდრო უნგიაძის როლზე შეცვალა და თამარ ტყემალაძე, რომელმაც მსახიობი ნელი ბადალაშვილი შეცვალა ელისოს როლზე. ორივე მსახიობი სპექტაკლს ავადმყოფობის გამო გამოეთიშა.

– ლაშა ბუღაძის „პანთეონი“ იმ იშვიათ პიესათა რიგშია ჩემთვის, რომელიც თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებებს შორის, პირველივე წაკითხვისთანავე გმუხტავს საოცარი იუმორითა და, რაც მთავარია, გამოკვეთილი სათქმელით. ფორმა, რომელიც შევთავაზეთ ერთმანეთს მე და მსახიობებმა, საკმაოდ რთულია. იმედი, მაქვს, გულგრილს არ დატოვებს მაყურებელს ის ამბავი, რომელსაც სცენიდან ვუამბობთ, – ამბობს სპექტაკლის რეჟისორი დიმა ხვთისიაშვილი.

**ნატო პატარიძე, ქუთაისის მერიის კულტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი:**

– ქუთაისის მერიის კულტურის განყოფილების ინიციატივით ტარდება ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი კვირეული ქუთაისში, რომლის ფარგლებშიც გადავწყვიტეთ ყველა წამყვანი თეატრალური დასი მოგვეწვია.



მათ შორის კვირეულში მონაწილეობს ქუთაისის დრამატული თეატრიც. ბუნებრივია, მიზანი ცალსახად გამოკვეთილია, რადგან თვითონ კვირეულის პროგრამაც კლასიკური დრამატურგიაა და მას საინტერესოდ ეხამება თანამედროვე პიესებიც და დრამატურგიაც. შესაბამისად, ჩვენ შევეცადეთ ამ კვირეულით მოგვეხდინა ქუთაისის თეატრალური ტრადიციების პოპულარიზაცია და ამავდროულად გაგვეაქტიურებინა ქუთაისში თეატრალური ცხოვრება, იმიტომ რომ აქ თეატრალურ ცხოვრებას ძალიან ღრმა ტრადიციები აქვს, ღრმა ისტორია აქვს და ძალიან დიდი სახეები მოღვაწეობდნენ ქუთაისში, უშუალოდ ამ თეატრში. ჩვენ გვინდა თეატრალური კვირეულით ამ ყველაფრის პოპულარიზება მოვახდინოთ.

**დიმა ხვთისიაშვილი, რეჟისორი:**

– მოხდა ისე, რომ ავტორმა ძალიან მაღალი შეფასება მისცა ამ სპექტაკლს და ახლა ჩამოვიტანეთ ქუთაისში. ქართული თეატრების ფესტივალში ჩავრთეთ ეს სპექტაკლი. ძალიან ვინერვიულეთ იმის გამო, თუ როგორ მიიღებდა მაყურებელი. ქუთაისი ხომ ასეთი დიდი ტრადიციების თეატრალური ქალაქია, დიდი იუმორის მატარებელი ქალაქია და გვაინტერესებდა როგორ შეხვდებოდა იმ იუმორს ქუთაისელი მაყურებელი, რომელსაც ჩვენ სცენიდან მივაწვდიდით.

***– სპექტაკლში მსახიობები რატომ შეცვალეთ?***

– ქუთაისში ორი მსახიობი პირველად შევიდა სპექტაკლში, თუმცა მათთან ერთად ადგილობრივი ბავშვებიც ჩავრთეთ. ორი არტისტი სპეციალურად ქუთაისის წარმოდგენისთვის არიან შეცვლილნი, არის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები ამ შეცვლისა. მგონია, რომ ვახო ადეიშვილი თუკი ძველი კადრია ახმეტელის თეატრის, თამარ ტყემალაძეს ჯერ სულ ერთი სპექტაკლი აქვს ნათამაშევი და მას თეატრმა გამოუცხადა ნდობა, ასეთ სასწრაფო რეჟიმში სპექტაკლში შესასვლელად, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მიმართ თეატრი კეთილგანწყობილია.

**თამაზ გოლაძე, ახმეტელის თეატრის მმართველი:**

– ვფიქრობ, ნორმალურად მიიღო ქუთაისელმა მაყურებელმა სპექტაკლი. მათი აზრით, წარმოდგენაში ძალიან აქტუალური თემაა, რომელიც დღესაც დღის წესრიგშია და არ არის მოხსნილი. სპექტაკლი ნორმალურად წავიდა. ნებისმიერი თეატრისთვის გასტროლი საქართველოს რეგიონებში აუცილებელია, თეატრი უნდა გავიდეს თავისი ნაჭუჭიდან და სხვა მაყურებელსაც აჩვენოს თავისი შემოქმედება. მთლიანობაში ვთვლი, რომ წარმატებულად ჩაიარა ქუთაისში ახმეტელის თეატრის გასტროლმა.

**თეონა გოგოძე, მაყურებელი:**

– ძალიან საინტერესო სპექტაკლი იყო, ვისიამოვნე, მაგრამ ხშირად მოკლებულები ვართ ასეთ სიამოვნებას. ძალიან კარგი იქნება, თუკი ქუთაისში ხშირად მოეწყობა მსგავსი კვირეულები და სხვა ქალაქების თეატრები გვაჩვენებენ რა სპექტაკლებს დგამენ თავიანთი მაყურებლებისთვის.

ვილი თუთბერიძე, მაყურებელი:

– პირველ რიგში მივესალმები იმას, რომ ქუთაისში ჩამოდიან საქართველოს სხვა ქალაქების დასები და იმართება სპექტაკლები. ქუთაისს კარგი თეატრი აქვს, კარგი დასი ჰყავს, მაგრამ საინტერესოა სხვა ქალაქების დასების ჩამოსვლაც, რა პრობლემები აქვთ, რა სპექტაკლებს დგამენ, რა არის თემატურად აქტუალური ქართული თეატრებისთვის, ეს ჩვენც გვაინტერესებს. „პანთეონში“ წარმოდგენილი თემა ჩემთვის ნამდვილად საინტერესოა, დამაფიქრა ამ სპექტაკლმა, მასში ადამიანის არასწორი ამბიცია და არასწორი საქციელია ასახული და მჯერა, რომ არასწორმა სურვილებმა პიროვნება შეიძლება ტრაგედიამდე მიიყვანოს. დავფიქრდი, რომ თურმე შეიძლება გამოიყენო ადამიანის სიცოცხლე და უაზრო დიდებაზე მეოცნებემ მისი სიცოცხლე არაფრად ჩააგდო. ნებისმიერ პიროვნებას გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი სურვილი, თან ისეთი სურვილი, რომ სხვებს არაფერი ავნოს და თანაც პასუხისმგებელი იყოს ყველაფერზე. თუკი მართლები ვიქნებით, საკუთარ ამბიციებს არ შევწირავთ სხვების სიცოცხლეს, ყველაფერი კარგად იქნება.



# ქართველი მევიოლინე სამშობლოში ბრუნდება

ეკა ირემაშვილი

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ახალგაზრდა მევიოლინე გიორგი იაშვილი სამშობლოში ბრუნდება. 20 იანვარს ის თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს გამართავს.

როგორც ოპერის წარმომადგენელი ზურაბ ოიკაშვილი აღნიშნავს, კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია. შესრულდება ფრანც შუბერტის მერვე სიმფონია, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის კონცერტი №5 ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის, ქრისტოფ ვილიბალდ გლიუკის მელოდია ოპერიდან „ორფეოსი და ევრიდიკე“, ჟიულ მასნეს მედიტაცია ოპერიდან „ტაისი“. სოლისტის ამპლუაში წარსდგება საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი ახალგაზრდა ქართველი მევიოლინე გიორგი იაშვილი. კონცერტს კი წარუძღვება დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო.

– გიორგი იაშვილი ცნობილ მუსიკოსთა ოჯახის წარმომადგენელია. მისი პირველი პედაგოგები იყვნენ დედა ვირტუოზი, სახელგანთქმული მევიოლინე, პროფესორი ნანა იაშვილი და ბაბუა, საქართველოში სავიოლინო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი პროფესორი ლუარსაბ იაშვილი. მოგვიანებით, მაესტრო კლაუდიო აბადოს რეკომენდაციით გიორგიმ სწავლა გააგრძელა ვენაში, პროფესორების ბრონისა და შულცის ხელმძღვანელობით. მისი ნიჭიერება არაერთმა მუსიკოსმა აღნიშნა, მათ შორის, იეგუდი მენუჰინმა, ისააკ სტერნმა, მსტისლავ როსტროპოვიჩმა. ქართველი მევიოლინე სოლისტის ამპლუაში ხშირად გამოდის ცნობილ საკონცერტო დარბაზებში ნიუ-იორკის ლინკოლნ ცენტრში, სიდნეის ოპერის თეატრში, ბერლინის ფილარმონიაში, კიოლნის, მიუნხენისა და მოსკოვის კონსერვატორიებში, მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებში, თანამშრომლობს ზუბინ მეტასთან, ვალერი გერგიევთან და პლასიდო დომინგოსთან, მონაწილეობდა სახელოვანი მევიოლინეების, მათ შორის, ლიანა ისაკაძის პროექტებში. ახალგაზრდა მევიოლინე მრავალი საინტერესო პროექტის ორგანიზატორია, რომელთაგან აღსანიშნავია ნიუ-იორკში 1998 წელს გაეროს შტაბ-ბინაში გამართული კონცერტი „მუსიკისა და ხელოვნების განვითარებისათვის“. გიორგი ორკესტრში კონცერტმაისტერად მიიწვია მაესტრო ლორინ მააზელმა. ასევე საგულისხმოა მისი მოღვაწეობა ვალენსიის ოპერაში ზუბინ მეტასთან. მუსიკოსის სიმებიანი კვარტეტი მონაწილეობდა მაქსიმ შოსტაკოვიჩის პროექტში, სადაც შესრულდა დიმიტრი შოსტაკოვიჩის კვარტეტები. გიორგი არის კამერული ორკესტრის „სოლისტეს დეს არტს“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ეს ორკესტრი, რომელშიც გაერთიანდნენ ლორინ მააზელისა და ზუბინ მეტას ორკესტრების წამყვანი ახალგაზრდა მუსიკოსები, ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო კოლექტივად არის მიჩნეული. გიორგი იაშვილი მონაწილეობდა მეხუთე საერთაშორისო ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ კონცერტებში თბილისსა და ახალციხეში, ასევე ლიანა ისკაძის ფესტივალში „ღამის სერენადები“ ბათუმში. ამჟამად ახალგაზრდა მევიოლინე თანამშრომლობს ბავარიის რადიოს სიმფონიურ ორკესტრთან, რომლის ხელმძღვანელია ცნობილი დირიჟორი მარის იანსონსი, – ამბობს ზურაბ ოიკაშვილი;

ამჟამად ოპერის ორკესტრი აქტიურ რეპეტიციებს გადის. ორკესტრი ახლახანს დაბრუნდა ჩიენთიდან, სადაც ორკვირიანი საგასტროლო ტურნე წარმატებით ჩაატარა.

– თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი საგასტროლო ტურნეს გასამართად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 17 დეკემბერს გაემგზავრა. ორკესტრის პირველი კონცერტი პეკინის საშემსრულებლო ხელოვნების ნაციონალურ ცენტრში 20 დეკემბერს გაიმართა. ორკესტრმა კონცერტები ასევე გამართა ჩინეთის სხვადასხვა ქალაქებში – შენიანგში, დალიანში, ანშანში და ჰეფეიში. კონცერტებს უდირიჟორა თბილისის ოპერის თეატრის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა ჯანლუკა მარჩანომ. კონცერტების პროგრამაში გაერთიანდა როსინის საოპერო უვერტიურები, ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია, შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონია“. ღონისძიების ორგანიზატორობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ფონდმა ითავეს, რომლის მიზანია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში. სიმფონიური ორკესტრი თბილისში 31 დეკემბერს დაბრუნდა და ახლა 20 იანვარს თბილისელ მსმენელთან შესახვედრად ემზადება, – ამბობს ზურაბ ოიკაშვილი.


## SMS-განცხადებები – 3090

### იყიდება

● ცენტრალური გათბობა უმოკლეს დროში (2-3 დღე). საუკეთესო ფირმების, ანუ „ბოშისა“ და „არისტონის“ ქვაბებით, საუკეთესო მასალით, გარანტიითა და ობიექტური ფასებით. მაღაზიისა და ბაზრის პრეისკურანტებით. ტელ: 595-67-82-62: 267-82-62, ემზარ ამნიაშვილი.

## განცხადებები

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერტიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## საფეხბურთო სააგენტო დინამოს წინააღმდეგ

საფეხბურთო სააგენტო „პლეიერს აგენტს სა სპორტს ვიშენსა“ და თბილისის „დინამოს შორის დავა გრძელდება. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სააგენტოს წარმომადგენლებმა მედიაში გააკეთეს განცხადებები, რომ საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ მათი გვერდის ავლით აწარმოებდა მოლაპარაკებებს სააგენტოს კუთვნილ ფეხბურთელებთან და მათ გადაბირებას ახერხებდა.

გასული წლის დეკემბერში, ფეხბურთელ ლაშა შინდაგორიძესა და სკ თბილისის „დინამოს“ შორის გაფორმდა დასაქმების ხელშეკრულება. მიუხედავად აგენტების წერილობითი მოთხოვნისა, ჩართული ყოფილიყვნენ კონტრაქტის გაფორმებისათვის გამართულ მოლაპარაკებებში, კლუბის სპორტულმა დირექტორმა გიორგი ტყავაძემ სხვადასხვა დაპირებებით დაიყოლია შინდაგორიძე და აგენტების გვერდის ავლით გააფორმა მასთან დასაქმების ხელშეკრულება, რითაც დაარღვია ფიფას რეგულაციები და კლუბი სხვადასხვა სანქციების დაკისრების საშიშროების წინაშე დააყენა.

„პლეიერს აგენტს სა სპორტს ვიშენის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ როგორც საფეხბურთო აგენტებისა და ამავე დროს, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის, თვითმიზანი არაა „დინამოს“ ან ფეხბურთელის წინააღმდეგ საჩივრის წარდგენა და სანქციების დაკისრება. დარწმუნებულები არიან, რომ ტყავაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთპიროვნული იყო და იმედოვნებენ, რომ ის არ ყოფილა შეთანხმებული კლუბის პრეზიდენტთან.

შესაბამისად, სკ თბილისის „დინამოს“ და ფეხბურთელ ლაშა შინდაგორიძეს მოუწოდებენ, მიმდინარე კვირის ბოლომდე, საჯაროდ მოიხადონ ბოდიში და აღიარონ, რომ აგენტების გვერდის ავლით დასაქმების კონტრაქტის გაფორმებით შეცდომა დაუშვეს და მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდება. აღნიშნული ქმედების განხორციელების შემთხვევაში, სააგენტო არ წარადგენს საჩივარს და არ მოითხოვს კლუბისა და ფეხბურთელის წინააღმდეგ სანქციების დაკისრებას.

თავის მხრივ, მართებულად მიიჩნევს თავს საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ და როგორც მისი მმართველი დირექტორი აცხადებს, ბოდიშის მოხდას არ აპირებენ.

**ბუბა ტყავაძე:**

– რამდენადაც მახსოვს, მათ ბოლო განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ისინი სამართლებრივ გზას მიმართავდნენ. რისთვის სჭირდებათ პრესკონფერენცია, გაუგებარია. ალბათ იმ მიზნით, რომ საფეხბურთო საზოგადოებას გააგებინონ მათი სააგენტოს არსებობის შესახებ. პასუხად შემიძლია განვაცხადო, რომ კვირის ბოლომდე მოცდას აზრი არა აქვს და შეუძლიათ პირდაპირ სარჩელი შეიტანონ.

## მანჯუკიჩი საუკეთესო ხორვატია

ხორვატიის 2012 წლის საუკეთესო მოთამაშედ ჟურნალისტებმა ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელი მარიო მანჯუკიჩი აღიარეს. რეფერენდუმი ტრადიციულად გაზეთ „ვეჩერნი ლისტის“ მიერ იყო ორგანიზებული.

– 2012 წელი ჩემთვის განსაკუთრებული იყო, ეს ჯილდოც ძალიან მახარებს, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ 2013 წლისგან გაცილებით მეტს ველი, – განაცხადა 26 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც ეს ტიტული პირველად მოიგო. მან 104 ქულა დააგროვა, მეორე ადგილზე კი 93 ქულით რეფერენდუმის შარშანდელი გამარჯვებული, მადრიდის რეალის ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩი გავიდა.

მარიო მანჯუკიჩმა ევრო 2012-ზე გაიბრწყინა: ქვეყნის პირველი გუნდის მაისურით 3 გოლი გაიტანა და მიუხედავად იმისა, რომ ხორვატია ჯგუფიდან ვერ გავიდა, ფეხბურთელმა უკეთეს კლუბში გადაინაცვლა – 26 ივნისს მიუნხენის ბაიერნთან გააფორმა კონტრაქტი. მანამდე ის ვოლფსბურგში თამაშობდა. ახალ კლუბთან ერთად მანჯუკიჩმა გერმანიის სუპერთასი მოიგო, ბუნდესლიგის პირველ წრეში კი 15 მატჩში 9 გოლი გაიტანა.

ხორვატიის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ სპლიტის ჰაიდუკის ამომავალი ვარსკვლავი ფრანკო ანდრიაშევიჩი აღიარეს.

## ფაჩულიამ და შენგელიამ ათიანში გაარტყეს

ჩავარდნის შემდეგ თორნიკე შენგელიას „ბრუკლინმა“ მოგებებს უხშირა, ფაჩულიას „ატლანტამ“ კი პირიქით – წარმატებული სერიის შემდეგ ზედიზედ მესამე მარცხი განიცადა. გუშინ, „ბრუკლინმა“ სტუმრად „ფილადელფიას“ მოუგო, ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“ კი მინესოტაში დამარცხდა.

მთავარი მწვრთნელის აივერი ჯონსონი გაშვების შემდეგ, ასისტენტი პიჯეი კარლისიმო „ბრუკლინს“ კარგად უძღვება. „ნეთსმა“ ზედიზედ მეოთხე, ბოლო 6 მატჩში კი მე-5 შეხვედრა მოიგო. ამჯერად ნიუიორკელთა მსხვერპლი საკმაოდ ყოჩაღი „ფილადელფია“ გახდა, რომელიც დერონ უილიამსის წინამძღოლობით ბრუკლინელებმა 109:89 გაანადგურეს.

შენგელიამ ისევ ბოლო პერიოდში ითამაშა. მან მატჩის უკანასკნელ 5 წუთში 2 ქულას, 1 მოხსნას და 1პასს მოუყარა თავი. თორნიკემ 2-დან ორივე საჯარიმო მიითვალა, ხოლო ერთი სამქულიანი კი, ააცილა.

12 წაგების მქონე „ბრუკლინისთვის“ ეს მე-20 მოგება გახლდათ, რითაც კარლისიმოს გუნდმა აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილი გაიმყარა.

აგებს და მაინც მესამეზეა ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“. ის ჰანდიკაპი, რომელიც ფაჩულიას გუნდმა დააგროვა, საშუალებას აძლევს ატლანტელებს, ზედიზედ მესამე წაგების მერეც არ დაკარგონ მესამე პოზიცია.

„ჰოუქსმა“ ამჯერად „მინესოტასთან“ წააგო. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მეოთხედი ატლანტელებმა 9 ქულით მოიგეს, დამარცხებას მაინც ვერ ასცდნენ. მასპინძლებმა პირველი ტაიმი 16 ქულით მოიგეს, დარჩენილ დროში კი უპირატესობა შეინარჩუნეს და საბოლოოდ 108:103 იმარჯვეს.

ფაჩულიამ, რომელიც სათადარიგო იყო, 23 წუთი დაჰყო პარკეტზე. ზაზამ 4-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, რასაც 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა მოაყოლა, ბურთი კი 3-ჯერ დაკარგა. ატლანტელებს ჯოშ სმიტმა ულიდერა, რომელმაც 21 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა. „ქორებმა“ ვერ შეაჩერეს მინესოტელთა ჩერნოგორიელი ცენტრი ნიკოლა პეკოვიჩი, რომელმაც შეხვედრა 25 ქულითა და 18 მოხსნით დაასრულა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| მაროკო-ზამბია | 0:0 |
| ს.აფრიკა-ნორვეგია | 0:1 |

**ესპანეთი. სამეფო თასი**

| | |
|---|---|
| მალაგა-ეიბარი | 4:1 |
| ვალენსია-ოსასუნა | 2:1 |

**იტალია. თასი**

| | |
|---|---|
| ლაციო-კატანია | 3:0 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-მაიამი | 87:77 |
| ფილადელფია-ბრუკლინი | 89:109 |
| *თორნიკე შენგელია: 2 ქულა, 1 მოხსნა* | |
| მილუოკი-ფინიქსი | 108:99 |
| მინესოტა-ატლანტა | 108:103 |
| *ზაზა ფაჩულია: 8 ქულა, 3 მოხსნა* | |
| ჰიუსტონი-ლეიკერსი | 125:112 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. სიდნეი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ვერდასკო-ისტომინი | 3:6;3:6 |
| გრანოლერსი-ფონინი | 6:2;7:6 |
| ანდერსონი-ლოპესი | 3:6;3:4 |
| ისნერი-ჰარისონი | 4:6;4:6 |
| ნიემინენი-კლეცი | 6:3;6:1 |
| სეპი-მილმანი | 6:2;3:6;6:3 |
| ტომიჩი-მაიერი | 7:6;6:2 |

**ატპ. ოკლენდი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| კიურეი-როხუსი | 7:5;6:3 |
| ჰირალდო-მალისე | 6:7;4:6 |
| ბელუჩი-ლაცკო | 3:6;5:7 |
| კოლშრაიბერი-ფალა | 7:6;4;6;6:3 |
| ბეიკერი-ლევაინი | 5:7;4:6 |
| მონფილსი-ჯონსი | 6:4;6:2 |
| ჰაასი-სიისლინგი | 6:3;6:4 |
| ფერერი-ლუ | 6:4;2:6;6:3 |

**ვტა. სიდნეი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ვოზნიაცკი-კუზნეცოვა | 6:7;6:1;2:6 |
| კერბერი-ვოსკობოევა | 6:2;7:5 |
| რადვანსკა!ა.-ვინჩი | 6:4;7:5 |
| ერანი-ციბულკოვა | 2:6;1:6 |

**ვტა. მურილა ჰობარტი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| გოვორცოვა-გაიდიშოვა | 3:6;1:6 |
| იოვანოვსკი-ფლიპკენსი | 3:6;2:6 |
| ზაკოპალოვა-პირონკოვა | 6:3;4:6;2:6 |

მოამზადა მიხეილ ყიფიანიძემ

## ნუგზარ სხიერელი: „კურტანიძე მეორე სააკაშვილი ყოფილა“

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებს ახალი მწვრთნელები რომ დაუნიშნეს, გუშინ გამცნეთ. თუმცა, ჯერ მათი საკითხი კიდევ არ არის გადაწყვეტილი და მთელ ამ პროცესს უამრავი დავი-დარაბა მოჰყვა. მეტიც, პრესკონფერენციაზე სასწრაფო დახმარების მანქანის გამოძახებაც გახდა საჭირო. საბედნიეროდ, ეს ხელჩართული ბრძოლის, ან მსგავსი პრეცედენტის გამო არ მომხდარა – ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი თამაზ გეგეშიძე ცუდად გახდა.



როგორც ჩანს, ქართულ სპორტში ისევ გრძელდება პოლიტიკური დაპირისპირება. ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ მომავალი სამწვრთნელო ჯგუფი კი წარადგინა, მაგრამ ის პრეზიდიუმმა უნდა წარადგინოს, რისი ალბათობაც ამ ეტაპზე მცირეა. ერთია, კურტანიძე თავისი გუნდის წარდგენას წინააღმდეგ შემთხვევაში თავად გეგმავს და მათ კანდიდატურებს კბილებით დაიცავს.

როგორც ყოველთვის, ჟურნალისტები აქაც იგნორირებული აღმოჩნდით. პრესკონფერენციის დასაწყისში ჩვენთვის კარი დახურული აღმოჩნდა, დარბაზი კი მოქმედ თუ ვეტერან სპორტსმენებს გაევსოთ. ხმაურიანი სიტყვიერი და ფიზიკური შეხლა-შემოხლის შემდეგ შენობაში ექიმს უხმეს. ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, თამაზ გეგეშიძის ცუდად გახდომის გამო კი ფალავანთა კლუბში სასწრაფო დახმარების ჯგუფიც გამოიძახეს. ვნებათაღელვამ დაახლოებით ნახევარ საათი გასტანა და პრესკონფერენციის დროც დადგა. ფედერაციის პრეზიდენტი ჟურნალისტების წინაშე შერჩეულ მწვრთნელებთან ერთად წარდგა.

**ლუკა კურტანიძე:**

– დადგა დრო, ცვლილებები ჭიდაობის სამწვრთნელო შტაბშიც განხორციელდეს. 20-წლიანი მუშაობის შემდეგ, ნაკრების დამრიგებლები იმ ხალხმა უნდა შეცვალოს, რომლებსაც ქართული ჭიდაობის წარმატებულად განვითარების ძალა რეალურად შესწევთ. ვნებათაღელვას ვერ ავცდით, რაც მოსალოდნელიც იყო. ცვლილებით, ცხადია, ყველა კმაყოფილი ვერ დარჩება, მაგრამ გარწმუნებთ, ახალი თაობა მზადაა, ქვეყნისთვის დიდი გამარჯვებებისთვის ბრძოლაში მწვრთნელის რანგში ჩაერთოს. წარმოგიდგენთ სამკაციან ჯგუფებს, რომლებიც ერთ მთლიან, ჯანსაღ მექანიზმს შეადგენენ. ეროვნულ ნაკრებს ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი რეზო მინდორაშვილი უთავკაცებს. მას დავით პოლოსიანი და ალექსანდრე კახნიაშვილი დაეხმარებიან. ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი გოგშელიძე იქნება, რომელსაც ასისტენტობას ოთარ თუშიშვილი და დავით ოთიაშვილი გაუწევენ. ჭაბუკთა ნაკრებს კი შაკო ბედინიძისი ჩაიბარებს. მასთან ერთად გიორგი იანტბელიძე და გელა საღირაშვილი იმუშავებენ. ჩამოთვლილ სპეციალისტებს ნაკრების მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის სტატუსი ექნებათ და წლის ბოლოს მათ მიერ გაწეულ სამუშაოს ფედერაცია სპეციალურ სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად შეაჯამებს. იქამდე კი, 11 იანვარს სამივე ნაკრების ახალ მწვრთნელებს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმი დაამტკიცებს.

– რა მოხდება, თუკი პრეზიდიუმი ინიციატივას არ დააკმაყოფილებს?

– დარწმუნებული ვარ, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება, მაგრამ თუ პრეზიდიუმი მხარს არ დაუჭერს, გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად მივიღებ. ამის უფლება მაქვს და თუ საჭირო გახდება, გამოვიყენებ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველოში ჭიდაობა სწორი გზით განვითარდეს და ქართველმა გულშემატკივრებმა ამ სახეობაში მიღწეული წარმატებებით იამაყონ. ცვლილებების ინიციატორი პირადად ვარ და სრულ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ.

**რეზო მინდორაშვილი:**

– ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნა ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. კარგად მესმის ისიც, როგორ დროს მიწევს მუშაობის დაწყება – ევროპის ჩემპიონატამდე ორი თვეა დარჩენილი. ნაკრების კანდიდატები უკვე გამოიკვეთნენ საქართველოს ჩემპიონატზე. სწორედ შიდა კონკურენციაში თავგამოჩენილ მოჭიდავეებს მიეცემათ ნაკრებში დამკვიდრების შანსი. პირველ წინასაჩემპიონატო შეკრებას 15 იანვარს დავიწყებთ. ევროპირველობამდე სავარაუდოდ ორ საერთაშორისო ტურნირზე გამოვალთ.

**ზაზა თურმანიძე:**

– ის, რომ თითქოს ფედერაციის პრეზიდენტს გადაწყვეტილების ინდივიდუალურად მიღების უფლება აქვს, ცრუ ინფორმაციაა. წესდების თანახმად, მთავარი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებაა და ვნახოთ, რას გადაწყვეტენ 11 იანვარს პრეზიდიუმის წევრები.

ნუგზარ სხირელი:

– რაც მოხდა, ყოვლად დაუშვებელია. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. პრეზიდენტი, რომელიც ფედერაციის ობიექტურად მართვის მაგალითი უნდა იყოს, საპირისპირო მაგალითს გვაძლევს. მას დებულება გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღების უფლებას არ აძლევს, ამ განცხადებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს. გამოდის, კურტანიძე მეორე სააკაშვილი ყოფილა. რატომ ვიყავით ძველი დროის უკმაყოფილო, თუ ყველაფერი ისევ ისე განმეორდება? დანებებას და გაჩერებას არ ვაპირებ. წინა ოლიმპიადაზე საქართველოს ორი ბრინჯაოს მედალი, ახლა კი თითო ოქრო და ვერცხლი მივეცი, თუმცა ის როგორი ვერცხლიც იყო, მთელმა მსოფლიომ ნახა. ამასთან, ახალგაზრდულ ნაკრებში ამდენწლიანი მუშაობისას ერთი სეზონი არ ჩამიგდია, ჩემი მოსწავლეებიდან სამი ოლიმპიურ ნაკრებში წამყვანი ფალავანია და ლონდონში მედლებიც მოიპოვეს. ამ ყველაფერს კი ანგარიში არ უნდა გაეწიოს და ამდენი მწვრთნელის მიღწევა ერთი კაცის ხუშტურზე უნდა იყოს დამოკიდებული?

დაველოდოთ და ვნახოთ, რა მოხდება 11 იანვარს დანიშნულ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე.

გეტყვით იმასაც, რომ 8 იანვარს მხოლოდ თავისუფალ სტილში მოჭიდავე ნაკრებთა საკითხი განიხილეს, ბერძენ-რომაელებისა კი სამსჯავროზე არ გამოუტანიათ. 11 იანვარს დანიშნულ პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე ამ საკითხსაც განიხილავენ. თუმცა მოგვიანებით კურტანიძემ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ერთპიროვნული გადაწყვეტილება არ მიუღია და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ჰქონდა კონსულტაციები სამეთვალყურეო საბჭოსთან, რომელსაც რომან რურუა ხელმძღვანელობს და ცნობილ ვეტერანებთან.

## 17-წლამდელებმა მინსკისთვის მზადება დაიწყეს

9 იანვარს მორიგი საწვრთნელი შეკრება დაიწყო გიორგი დევდარიანის 17-წლამდელთა ნაკრებმა გუნდმა.

პატარა „ჯვაროსნები“ სასტუმრო „ბატესტაში“ დაბინავდნენ და 20 იანვრამდე მინსკის ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირისთვის ინტენსიურად მოემზადებიან.

17-წლამდელებმა ზამთრის პირველი შეკრება დეკემბრის ბოლოს ზუგდიდში გაიარეს, სადაც გუნდის ძირითად ბირთვთან ერთად, რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც გაისინჯა. ამჯერად კი ნაკრების თავკაცმა გიორგი დევდარიანმა თბილისურ შეკრებაზე 23 ფეხბურთელს უხმო:

**მეკარეები:** ოთო გოშაძე, ბექა ქურდაძე (ორივე საბურთალო);

**მცველები:** აკაკი შულაია (მერანი), ზურაბ გელაშვილი (ტორპედო), ნიკა ველიაშვილი, გაგი მარგველაშვილი, ჯემალ ტაბიძე (ყველა საბურთალო), თორნიკე კირკიტაძე, ომარ პატარკაციშვილი (ორივე ლოკომოტივი);

**ნახევარმცველები:** ზურაბ მალანია (ბაია), გიორგი თევზაძე, გიორგი ხარაიშვილი, ილია ბეროშვილი, ირაკლი რუხაძე (ყველა საბურთალო), თენგიზ გოროზია (დინამო თბ), გიორგი ბერიძე (ჩიხურა), გიორგი ბუნტური (ვიტ ჯორჯია);

**თავდამსხმელები:** ლუკა ზარანდია (ლოკომოტივი), ილია კერძევაძე (ჩიხურა), დევიდ კანდელაკი (ტორპედო), გრიგოლ ჩაბრაძე (საბურთალო), რომან ჭანტურია (ემპოლი, იტალია), ალექსანდრე შერაზადაშვილი (ალკორკონი, ესპანეთი).

რაც შეეხება მინსკის საერთაშორისო ტურნირს, საქართველოს ასაკობრივი ნაკრები უკვე მეორე წელია, მონაწილეობს. შარშან ტურნირის ვერცხლის მედლები დაისაკუთრა ვასილ მაისურაძის 1995 წელს დაბადებულთა ნაკრებმა.

წელსაც ტურნირში, ტრადიციულად, რვა გუნდი მონაწილეობს. წილისყრის შედეგად, საქართველოს ნაკრები ა ჯგუფში მოხვდა, სადაც ბელორუსის, ბელგიისა და ლიტვის ნაკრებებს დაუპირისპირდება. ბ ჯგუფში ასპარეზობენ რუსეთის, მოლდოვას, უკრაინისა და ლატვიის 17-წლამდელთა ნაკრები გუნდები.

**ტურნირის კალენდარი კი ასე გამოიყურება**:

**21 იანვარი:** საქართველო-ბელგია; ბელორუსი-ლიტვა; მოლდოვა-უკრაინა; რუსეთი-ლატვია;

**22 იანვარი:** ლიტვა-ბელგია; ბელორუსი-საქართველო; ლატვია-უკრაინა; რუსეთი-მოლდოვა;

**24 იანვარი:** საქართველო-ლიტვა; ბელგია-ბელორუსი; მოლდოვა-ლატვია; უკრაინა-რუსეთი;

26 იანვარს კი უკვე ტურნირის დასკვნითი მატჩები გაიმართება. ჯგუფების პირველადგილოსნები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან, მეორეადგილოსნები – მესამე ადგილისთვის მატჩში და ა.შ.

## გვარდიოლას თავაზიანი უარი

„მილანის“ მეპატრონემ, იტალიის ყოფილმა პრემიერმა სილვიო ბერლუსკონიმ იტალიელ სპორტულ ჟურნალისტებთან ისაუბრა და უამრავ საინტერესო თემას შეეხო. მილანური კლუბის მფლობელს ძირითადად კლუბის ახლანდელ მწვრთნელზე, მასიმილიანო ალეგრისა და „მილანში“ ხოსეპ გვარდიოლას შესაძლო გადასვლაზე ჰქონდათ საუბარი.

სილვიო ბერლუკონი:

– დატოვებს თუ არა ალეგრი პოსტს ზაფხულში? პრეზიდენტი ყოველთვის სიმართლეს უნდა ამბობდეს და ამიტომ დღეს ამ კითხვას არ ვუპასუხებ. სადღეისოდ ალეგრის ვენდობი და მჯერა, რომ გუნდი მას სწორი მიმართულებით მიჰყავს. თუმცა, სეზონის ბოლომდე დიდი დროა დარჩენილი და კაცმა არ იცის, რა მდგომარეობა იქნება მაისის ბოლოს. თანამედროვე ფეხბურთში თვეებით ადრე კონკრეტულ თემაზე გადაჭრით საუბარი მიუღებლად მიმაჩნია. რაც შეეხება „მილანში“ გვარდიოლას გადმოსვლას: პეპს ზაფხულში ვესაუბრე და ძალიან კარგი წინადადებითაც მივმართე. დასამალი არაფერია – მასთან 4-წლიანი კონტრაქტი გვქონდა გამზადებული, რომლის ფარგლებშიც გვარდიოლას შესანიშნავი სახლი ეკუთვნოდა კომოს ტბის ნაპირთან, მსოფლიოს ცნობილი ვარსკვლავების მეზობლად. მართალია, გვარდიოლამ „მილანის“ მიმართ დიდი პატივისცემა გამოხატა, თუმცა იქვე დაამატა, რომ მინიმუმ ერთი სეზონი დასვენებას აპირებდა. ეს იყო თავაზიანი უარი. დღეს კი უკვე სხვა ვითარებაა – ჩვენ ალეგრის ვენდობით, გვარდიოლას კი თავისი გეგმები აქვს.

# პრეზიდენტის მიერ ელჩების გამოწვევასთან დაკავშირებით პარლამენტში არანაირი დოკუმენტი შესული არ არის

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ელჩების გამოწვევასთან დაკავშირებით პარლამენტში არანაირი დოკუმენტი შესული არ არის. ამის შესახებ „პირველს" პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ განუცხადა.

„რაც შეეხება ელჩების გამოწვევას და მათ ნაცვლად ახალი ელჩების კანდიდატურის წარდგენას, მინდა, გითხრათ, რომ სამწუ-



ხაროდ, ინფორმაცია, რომელიც გავრცელდა, არ დასტურდება. პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან არანაირი დოკუმენტი შემოსული არ არის, ეტყობა გზაში შეფერხდა", – განაცხადა ჯაფარიძემ.

ამასთან, დეპუტატი იმედოვნებს, რომ უფრო კონკრეტული ინფორმაცია უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ელჩების გამოწვევასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

„საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება მთელი რიგი ქვეყნებიდან საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩების გამოწვევის თაობაზე. სამსახურეობრივ მოვალეობას აღარ შეასრულებენ ის ელჩები, რომლებმაც საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვეს თანამდებობები და ისინი, ვისაც როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა ეწურებათ. ასევე ქვეყნის პირველმა პირმა გამოიწვია ის დიპლომატები, რომელთა შესახებაც, შესაბამისი გადაწყვეტილება მთავრობასთან კონსულტაციის საფუძველზე იქნა მიღებული. ამას გარდა, პრეზიდენტმა საფრანგეთში საქართველოს ელჩის ვაკანტურ თანამდებობაზე მთავრობის მიერ შეთავაზებული კანდიდატურა წარადგინა", – ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით კი, ამ დროისთვის გამოწვეულია 6 ელჩი, რომელთაც როტაციის ვადა ისედაც უმთავრდებოდათ. ესენი არიან ელჩები ავსტრიასა და ეუთო-ში, უნგრეთში, ჩეხეთში, უკრაინასა და ლატვიაში და საქართველოს ელჩი აშშ-ში თემურ იაკობაშვილი, რომელმაც განცხადება თანამდებობის დატოვების შესახებ თავად დაწერა.

გარდა ამისა, ვაკანტურია ორი ელჩის თანამდებობა, საფრანგეთსა და იტალიაში.

*პირველი*

# ევროსაბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი მამუკა ჟღენტი თანამდებობას ტოვებს

ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი მამუკა ჟღენტი თანამდებობას ტოვებს. ინფორმაცია ამის შესახებ „პირველს" თავად ელჩმა დაუდასტურა.

„ესაა მთავრობის და პრეზიდენტის შეთანხმებული გადაწყვეტილება. როგორც ვიცი, ყველა ძირითად საელჩოში დაგეგმილია ელჩის გამოცვლა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ მივდივარ საგარეოს სისტემიდან. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს", – განაცხადა მამუკა ჟღენტმა.

რაც შეეხება იმას, თუ ვისი კანდიდატურა განიხილება ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელად, მამუკა ჟღენტი ინფორმაციას არ ფლობს და აცხადებს, რომ ეს მინისტრის, პრეზიდენტისა და პარლამენტის გადასაწყვეტია.

ცნობისთვის, მამუკა ჟღენტი ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის პოსტს 2011 წლის იანვრიდან იკავებს და მან ამ პოსტზე ზურაბ ჭიაბერაშვილი შეცვალა, რომელმაც, თავის მხრივ, იმ დროისთვის [2012 წლის მარტი] საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა.

*პირველი*

# „ოსკარზე" ნომინანტებისთვის ხმის მიცემა ვარსკვლავებს ინტერნეტის საშუალებითაც შეეძლებათ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თუმცა „ბენ-ჰურის" რეკორდი ფილმმა „ტიტანიკი" მაინც ვერ გაიმეორა, რადგან მთავარი როლის შემსრულებლებს კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო არ მიუღიათ. იუდა ბენ-ჰურის როლის შემსრულებელმა – ჩარლტონ ჰესტონმა (ასევე მონაწილეობს ფილმში „ათი მცნება".) 1959 წელს კინოკრიტიკოსთა გადაწყვეტილებით, ჯეკ ლემონი „ოსკარის" გარეშე დატოვეს, რომელმაც არაჩვეულებრივი სახე შექმნა ფილმში „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" (რეჟ: ბილი უაილდერი). ამ სახელწოდებით იცნობდნენ ფილმს „სხეულის სიმხურვალე" ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოქალაქეები. იმ დროს ცენზურა ფილმის სახელწოდებაზეც ვრცელდებოდა.

ქანდაკებამ, რომელსაც ცერემონიალზე გადასცემენ, სახელწოდება მიიღო აკადემიის ერთ-ერთი წევრის, მარგარეტ ჰერიკისაგან, რომელმაც მიიჩნია, რომ იგი ძალიან ჰგავდა ბიძამის ოსკარს. ქანდაკება გაკეთებულია ბრიტანიუმისაგან და მოოქროვილია. მისი დიზაინერია სედრიკ გიბონი.

ყველაზე პრესტიჟული პრემიის, ოსკარის ირგვლივ ყოველთვის არის მითქმა-მოთქმა, რასაც თან ახლავს სკანდალური სიტუაციები და სტატიები. ნებისმიერი დაჯილდოების შემდეგ ჩნდება აზრი იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ ფილმს, მსახიობსა თუ რეჟისორს ჯილდო დაუმსახურებლად გადასცეს და ა.შ. „ყველაზე უღირსი" ოსკაროსნების სიაში პირველი სამი „საპატიო" ადგილი შემდეგმა ფილმებმა დაიკავეს: „შეყვარებული შექსპირი", „ჩიკაგო" და „ტიტანიკი".

# „2012 თეატრალური წელი" — სტატისტიკური კვლევის შედეგები

ეკა ირემაშვილი

**11 იანვარს თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი წიგნის მაღაზია ლიგამუსში გამართავს პრესკონფერენციას, რომელზეც გამოაქვეყნებს 2012 თეატრალური წლის სტატისტიკური კვლევის შედეგებს.**

როგორც თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი განმარტავს, კვლევა ეყრდნობა საქართველოში მოქმედ 30-ზე მეტი თეატრის, მათ შორის – სახელმწიფო, დამოუკიდებელი, რეგიონული – 2012 წლის მონაცემებს.

– ჩვენ მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოვლინდება ის თეატრები, რომლებმაც რაოდენობრივად ყველაზე მეტი სპექტაკლი დადგეს, ასევე დასახელდება ის რეჟისორები, რომლებმაც ყველაზე მეტი დადგმა განახორციელეს და ის მსახიობები ქალიც და მამაკაციც, რომლებმაც 2012 წელს ყველაზე მეტი ახალი როლი შექმნეს. ჩვენ გამოვავლენთ ასევე თანამედროვე ქართველ დრამატურგს, რომლის ყველაზე მეტი პიესა, სწორედ, გასულ წელს დაიდგა. კვლევა მომზადებულია მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით და ის არ ასახავს სპექტაკლებისა და მსახიობთა მიერ შესრულებული როლების მხატვრულ ხარისხს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა ბოლო 30 წლის განმავლობაში, – აცხადებს ლაშა ჩხარტიშვილი.

პრესკონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციის ხელმძღვანელი ირინა ღოღობერიძე, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის თავმჯდომარე ნიკა წულუკიძე და თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მკვლევარი, თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი.

კვლევის შედეგები კი სრულად 11 იანვარს არტარეას ვებ გვერდზე გამოქვეყნდება.

უკვე 14 იანვარს კი ქართული თეატრალური სამყარო ქართული თეატრის დღეს აღნიშნავს. ამ დღეს საქართველოს შემოქმედებითი კავშირი – საქართველოს თეატრალური საზოგადოება და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, აღნიშნავს ქართული თეატრის დღეს და აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტების თენგიზ არჩვაძისა და ნოდარ მგალობლიშვილის 80 წლისთავს.

– უკანასკნელი სამი წლის მანძილზე თბილისის მერია ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა დღესასწაულთან დაკავშირებით უზრუნველყოფს სახელობითი თეატრალური პრემიების გაცემას. ამიტომაც ტრადიციისამებრ, მიმდინარე წელსაც გაიცემა შემდეგი პრემიები კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, სანდრო ახმეტელის სახელობის პრემია, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია, აკაკი ხორავას სახელობის პრემია, პეტრე ოცხელის სახელობის პრემია. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება გაზეთი „ქართული თეატრის დღე" და ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", – აღნიშნავს თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელი ნეკა სებისკვერაძე.

ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო 14 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართება.

„თავისუფალი თეატრალური პროექტები" – ასე ეწოდება პროექტს, რომელსაც თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი ატარებს. როგორც ცენტრის ოფიციალურ საიტზეა ნათქვამი:

– გრძელდება განაცხადების მიღება და პროექტების განხილვა თავისუფალი თეატრალური პროექტების ფარგლებში. ცენტრის მიზანია, მსგავსი პროექტების დაფინანსებით ხელი შეუწყოს თეატრალური ხელოვნების განვითარებას და მხარი დაუჭიროს როგორც ახალგაზრდა, ასევე გამოცდილ რეჟისორებს, წვლილი შეიტანოს ქართული დრამატურგიის განვითარებასა და ღირსეულად წარმოჩენაში. 2012 წელს ცენტრის ხელშეწყობით ქართულ თეატრალურ სივრცეს შეემატა 24 სპექტაკლი. წარმოდგენილ პროექტებს განიხილავს თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თეატრალური საბჭო. საბჭოს წევრები არიან ცნობილი და დამსახურებული თეატრმცოდნეები და თეატრის კრიტიკოსები ვასილ კიკნაძე, ნიკოლოზ წულუკიძე, მანანა გეგეჭკორი და ნინო ხურცილავა.

# ვაჟა აზარაშვილი კულტურის რაინდია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხუთტომეული „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი". ეს წიგნი ხუთი თანამედროვე მხატვრის მიერაა დასურათებული. გამოცემაში შეტანილია რუსუდან ფეტვიაშვილის, გია გუგუშვილის, ქეთი მატაბელის, ირაკლი ფარჯიანის, ზურაბ ხაბაზის, დიზაინერ გოგი წერეთლის ნამუშევრები. კრებულის ავტორი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილია. წიგნის გამოცემა გალაკტიონ ტაბიძის 120, ვაჟა-ფშაველას 150 და ბეჭდური „ვეფხისტყაოსნის" 300 წლისთავისადმია მიძღვნილი. მინიატურული, ილუსტრირებული ხუთტომეულის გამოცემაზე მუშაობა რამდენიმე თვეს მიმდინარეობდა. მკითხველს უკვე შეუძლია პირველად ნახოს და შეაფასოს უნიჭიერესი მხატვრის ირაკლი ფარჯიანის მიერ დასურათებული გალაკტიონი.

ვაჟა აზარაშვილთან და გივი თოიძესთან ერთად საქართველოს მწერალთა კავშირმა სხვა პრიზებიც გასცა. ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა დალი ფანჯიკიძე ილია ჭავჭავაძის პრემიით, გოგი წერეთელი – გალაკტიონის პრემიით. მწერალთა კავშირის უხუცეს წევრს 90 წლის ქალბატონს, დოდო ვადაჭკორია-ხიმშიაშვილს საბავშვო მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

ქართული კულტურის მოღვაწეთა თანადგომისთვის კი მწერალთა კავშირმა დიმიტრი ყიფიანის პრემიით მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები მამუკა ქაცარავა, ნეკა სებისკვერაძე და შოთა მალლაკელიძე დააჯილდოვა.

**ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი:**

– ულრმესი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემი კულტურის რაინდის წოდებით დაჯილდოება გადაწყვიტა. ეს ჩემთვის უდიდესი პატივია და მიხარია, რომ ჩემი ამდენწლიანი შრომა ასეთი ყურადღებით ფასდება. ხელოვანი ადამიანისთვის მთავარი ხომ სითბო და სიყვარულია. ამას კი ჩემი ერთგული მსმენელისგან ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შემოქმედება დღესაც მოსწონს საზოგადოებას. გამოვუშვით წიგნი სახელწოდებით „უკან მოხედვის არ მეშინია", აღნიშნულ იქნა ჩემი იუბილე გრანდიოზული კონცერტით, რისთვისაც ყველას მადლობას ვუხდი. არასოდეს მაკლდა ყურადღება, მაგრამ განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ზედმეტად გამანებივრეს, მეფერებიან, მესიყვარულებიან, რაც ჩემთვის ნამდვილად სასიხარულოა.

გივი თოიძე, მხატვარი:

– ნებისმიერ ადამიანს სიამოვნებს ყურადღება და სიყვარული. ჩემთვის ბედნიერებაა, რომ დამაჯილდოვეს კულტურის რაინდის წოდებიც. მიმაჩნია, რომ ეს ჩემი განვლილი ცხოვრების დაფასებაა. საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ ალბათ შევიტანე რაღაც მოკრძალებული წვლილი იმ საქმეში, რასაც ქართული კულტურა ჰქვია. დიდი მადლობა მწერალთა კავშირს და ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, რომ ამ ჯილდოს ტარების ღირსად ჩამთვალა.

**მაყვალა გონაშვილი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:**

– ჩვენ დღეს დავაჯილდოვეთ ის ადამიანები, ვინც გამორჩეულია ქართულ კულტურაში, ვინც ნამდვილად იმსახურებს კულტურის რაინდის წოდებას და თან გადავეცით სპეციალური წიგნი, სახელწოდებით „შოთა ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი", რომელშიც ქართული პოეზიის ხუთი ბუმბერაზი ადამიანია გაერთიანებული. წიგნის გამოცემა გალაკტიონ ტაბიძის 120, ვაჟა-ფშაველას 150 და ბეჭდური „ვეფხისტყაოსნის" 300 წლისთავისადმია დაკავშირებული. ამ წიგნზე მუშაობა თვეების მანძილზე მიმდინარეობდა და მასში თანამედროვე ქართველი მხატვრების რუსუდან ფეტვიაშვილის, გია გუგუშვილის, ქეთი მატაბელის, ზურაბ ხაბაზის, დიზაინერ გოგი წერეთლის ნამუშევრებია წარმოდგენილი. გარდა ამისა, მკითხველს პირველად შეეძლება ნახოს და შეაფასოს უნიჭიერესი მხატვრის ირაკლი ფარჯიანის მიერ დასურათებული გალაკტიონი.

# კროსვორდი ბ



შვეულად: 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ბულგარეთში; 2. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; 3. შვეციის პარლამენტი; 4. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 7. სულიერი განწმენდა; 8. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 12. საკრედიტო დაწესებულება; 14. კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს; 16. ცხოველთა საჭერი მახე; 17. ბრიტანეთის ნაწილი; 19. მკბენარა მწერი; 20. ქართული გაზეთი.

**თარაზულად:** 5. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. ბურთის ოსტატურად ტარება ფეხბურთში, კალათბურთში; 9. ყველაზე დიდი ტბა მექსიკაში; 10. შამფურზე შემწვარი ხორცი; 11. ყურის ანთება; 13. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. წნული ქოხი სამეგრელოში; 21. ფრანგული ვაშლის ღვინო; 22. ქვის ხანის უკანასკნელი პერიოდი; 23. თანამედროვე მოთხოვნილებისა და გემოვნების შესაფერისი რამე.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სალათი; 2. იყალთო; 3. სათაფლია; 4. ჩხოუში; 6. ზედაზენი; 8. ქენონი; 11. ხოდაბუნი; 12. დეკორტი; 16. ჩეიზი; 17. მყესი; 18. პრესა.

**თარაზულად**: 1. სპრინტი; 5. ლინზა; 7. კალმახი; 9. ამალთეა; 10. წუმწუმა; 13. ნამიბია; 14. ბორანი; 15. კები; 19. ჰონვედი; 20. წყალტუბო; 21. შიომღვიმე; 22. დიქცია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პარკუჭი; 2. ლაქშმი; 3. ბენეფისი; 4. ვილაიეთი; 7. პოსტულატი; 8. კლაქსონი; 12. იაგდტაში; 14. კონგრესი; 16. ბოქსიტი; 17. ფუტზალი; 19. კიჩო; 20. სარი.

**თარაზულად**: 5. ბაბუშერა; 6. ედელვაისი; 9. სულიკო; 10. მესეფი; 11. სარკე; 13. ბასფი; 15. კოპოლა; 18. რომბი; 21. თეოდოლიტი; 22. ინფანტა; 23. კონკური.

# ირანმა პენტაგონის ახალი ხელმძღვანელის კანდიდატურას მხარდაჭერა გამოუცხადა

ირანის ხელისუფლებამ ყოფილი სენატორის, ჩაკ ჰეიგელის კანდიდატურას, პენტაგონის მომავალი ხელმძღვანელის თანამდებობაზე, მხარდაჭერა გამოუცხადა. ინფორმაციას სააგენტო „ასოშეითედ პრესი“ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს. ჰეიგელი, რომელიც ცნობილია ირანის და ისრაელის საკითხებზე გაკეთებული განცხადებებით, ირანისადმი ლოიალურად განწყობილ პოლიტიკოსად მიიჩნევა.

ისლამური რესპუბლიკის მთავარი დიპლომატიური უწყების მაღალჩინოსნების განცხადებით, ირანი იმედოვნებს, რომ ჰეიგელის აშშ-ის თავდაცვის მინისტრის პოსტზე დამტკიცების შემთხვევაში, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დადებითი მიმართულებით განვითარდება.

როგორც ცნობილია, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ჩაკ ჰეიგელი პენტაგონის ხელმძღვანელის პოსტზე წარადგინა. როგორც ვარაუდობენ, ჰეიგელის კანდიდატურას სენატში წინააღმდეგობა შეხვდება. მიზეზი კი სწორედ მისი პოზიციაა ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში. ჰეიგელის კანდიდატურის წინააღმდეგია ე.წ. ებრაული ლობიც, რომელიც აშშ-ის კონგრესში იმყოფება. თუმცა, თავად ჰეიგელი ირწმუნება, რომ ის ისრაელის სახელმწიფოს და მის პოლიტიკას მთლიანად უჭერს მხარს. რესპუბლიკელი ისრაელს არწმუნებს, რომ ისრაელი აშშ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი მეკავშირეა ახლო აღმოსავლეთში.

თავის პირველ ინტერვიუში, რომელიც ჰეიგელმა მას შემდეგ მისცა, რაც პოსტზე ოფიციალურად იქნა წარდგენილი, პენტაგონის მომავალმა შეფმა განაცხადა, რომ მისი მოწინააღმდეგეების გავრცელებული ხმები, რომ თითქოს ის ისრაელის მოწინააღმდეგეა, სიმართლეს არ შეესაბამება. პოლიტიკოსის თქმით, ერთი მტკიცებულებაც კი არ არსებობს საიმისოდ, რომ ის ანტიებრაულ განწყობებს თანაუგრძნობს და მრავალჯერ განუცხადებია, რომ ირანი ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოა.

ჩაკ ჰეიგელის პოსტზე წარდგენისთანავე, ის პოლიტიკურმა კონკურენტებმა ისრაელის საწინააღმდეგო შეხედულებებში დაადანაშაულეს. ყოფილმა სენატორმა, რომელიც აშშ-ის სენატში ნებრასკას წარმოადგენდა, თავის დროზე არ დაუჭირა მხარი სანქციებს, რომელიც ირანის წინააღმდეგ დაწესდა, რადგან მას უშედეგოდ და ისრაელისთვისაც ფუჭად მიიჩნევდა. თავდაცვის მინისტრის პოსტის ჩაბარების შემდეგ, ჰეიგელი პირობას იძლევა, რომ რიგი მოსაზრებები გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში, შესაძლოა, გადახედილ იქნას.

# სირიის მთავრობა 48 ირანელი მძევლის სანაცვლოდ 2 130 პატიმარს გაათავისუფლებს

თურქეთის ადამიანის უფლებების დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების სააგენტოს განცხადებით, სირიის მთავრობა 2 130 პატიმარს გაათავისუფლებს 48 ირანელი მძევლის სანაცვლოდ, რომლებიც სირიელ ამბოხებულებს ჰყავთ დატყვევებული.



სირიელმა ამბოხებულებმა ირანელები გასული წლის აგვისტოში აიყვანეს მძევლად და მათი მოკვლით იმუქრებოდნენ.

ირანული მხარის განცხადებით, მძევალთა შორის შეიარაღებული ძალების რამდენიმე ყოფილი წევრი იყო, თუმცა ისინი დამასკოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, შია შრაინში სალოცავად იყვნენ ჩასულები. დატყვევებულ პილიგრიმთა შორის ასევე იყვნენ სტუდენტები და რამდენიმე საჯარო მოსამსახურე.

„გათავისუფლებულ პატიმართა უმრავლესობა სირიელი მოქალაქეები არიან, მათ შორის მხოლოდ რამდენიმე თურქია“, — განაცხადა თურქული სააგენტოს წარმომადგენელმა.

ჯერჯერობით, სირიის მთავრობას ოფიციალურად არ დაუდასტურებია, გაათავისუფლა თუ არა უკვე პატიმრები.

„სი-ენ-ენის“ ცნობით, თავის მხრივ სირიელმა მინისტრმა დაადასტურა, რომ ამბოხებულების მხარეზე გადასული მისი ვაჟი მოკლულია.

„მე ვგმობ იმას, რაც ჩემმა ვაჟმა ჩაიდინა. მე ეს ადრეც ვთქვი და ახლა მისი სიკვდილის შემდეგაც გავიმეორებ“, - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ტურკი ალ-საიდმა, რომლის თქმითაც მის ვაჟს ამბოხებულებმა „გონება გამოურეცხეს“.

მინისტრის ვაჟი ბასამი ალ-საიდი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერდა, რომ ის ამბოხებულებს 2011 წელს დასაწყისიდანვე შეუერთდა. ის შემდეგ თავისუფალი სირიის არმიის რიგებშიც გაწევრიანდა და ბრძოლაში მოკლეს.

„ფაინეშლ თაიმსის“ ცნობით კი, სირიაში, სავარაუდოდ, ურანის საიდუმლო საცავი აღმოაჩინეს. ახალი ინფორმაცია ისრაელის, ამერიკის შეერთებული შტატების და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა ხელისუფლებების მიერ გაკეთებული განცხადებების შემდეგ ვრცელდება.

დასავლური პრესის ცნობით, დამასკოს სიახლოვეს ურანის საიდუმლო საცავია, საიდანაც ურანი, სავარაუდოდ, ირანში გადის.

ბრიტანული გამოცემა იუწყება, რომ საცავში დაახლოებით 50 ტონამდე გაუმდიდრებელი ურანია განთავსებული. გაზეთი საიდუმლო ობიექტის თანამგზავრიდან გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებს. ობიექტი მარჯ ალ-სულთანზე, სირიის დედაქალაქის სიახლოვეს მდებარეობს და მცირე ხნის წინ, იქ უჩვეულო აქტივობა შეინიშნებოდა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს, შესაძლოა, ურანის მარაგის ტრანსპორტირებასთან იყოს დაკავშირებული.

იმასაც ვარაუდობენ, რომ ურანი სირიას დეირ-აზზუბრში მდებარე საიდუმლო ბირთვული რეაქტორისათვის სჭირდებოდა, რომელიც ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა 2007 წლის სექტემბერში გაანადგურეს. ექსპერტების შეფასებით, ურანის ის რაოდენობა, რომელსაც სირია ფლობს, სრულიად საკმარისია ხუთი ბირთვული ბომბის შესაქმნელად.

ამ ფონზე, გაეროს მონაცემებით, ქვეყანაში არსებული თითქმის ორწლიანი კონფლიქტის შედეგად, მილიონი სირიელი სასურსათო და სხვა ტიპის დახმარებას ვერ იღებს.

გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის განცხადებით, ისინი 1,5 მილიონი ადამიანს ეხმარებიან, თუმცა ბრძოლების გამო ვერ ხერხდება ტარტუსის ნავსადგურის გამოყენება, რის გამოც მრავალი ადამიანი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

2011 წლის მარტიდან დაწყებულ კონფლიქტს გაეროს მონაცემებით 60 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. უკანასკნელი თვეების განმავლობაში აჯანყებულებმა ჩრდილოეთ სირიის მნიშვნელოვან ნაწილზე შეძლეს კონტროლის დამყარება.

# უკრაინელმა მესაზღვრეებმა რუსეთის ორი მოქალაქე დააკავეს



უკრაინული ჩოპსკის მონაკვეთის მესაზღვრეებმა, გიტარით და საქსოფონით ხელში ორი რუსი დააკავეს, რომლებიც არალეგალურად ევროპაში მოხვედრას ცდილობდნენ. როგორც „იტარ-ტასს“ უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელმა რომან პავლენკომ განუცხადა, 21 წლის ორი პოდმოსკოვიელი უკრაინა-სლოვაკეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთას აპირებდა.

ახალგაზრდები დათოვლილ კარპატებზე კომპასის საშუალებით გადაადგილდებოდნენ. საზღვრის მისადგომებთან ისინი „ნოვოსელიცას“ მორიგე სასაზღვრო რაზმმა დააკავა.

ახალგაზრდებმა განმარტეს, რომ კანონი დაარღვიეს, რადგან ესპანეთში მოხვედრა სურდათ, სადაც იმედოვნებდნენ, რომ სამუშაოს მოძებნიდნენ და დასახლდებოდნენ. სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლის თქმით, ახლა რუსებს „უკრაინის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით პასუხისგება მოუწევთ“.

თავის მხრივ, უკრაინული სასაზღვროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა ანდრეი დემჩენკომ დააზუსტა, რომ რუსეთის მოქალაქეები ჯერ კიდევ 5 იანვარს დააკავეს. სასამართლომ უნდა დაადგინოს დანაშაულის ხარისხი და სასჯელი განსაზღვროს.

# ტიმოშენკომ ღამე საშხაპეში გაატარა

უკრაინის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ განაცხადა, რომ მას არ სურს თავის საკანში დაბრუნება და ამიტომ ერთ-ერთი საავადმყოფოს საშხაპეში გაატარა ღამე. ამის შესახებ ინფორმაციას „უკრაინსკიე ნოვოსტი“ სასჯელაღსრულების სამინისტროში თავის წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, საავადმყოფოს პერსონალმა ყოფილ პრემიერს საშხაპეში პლედი გადასცა.

ტიმოშენკო მანამდე არ აპირებს საკანში დაბრუნებას, სანამ იქ კამერები აყენია.

ასევე, იულია ტიმოშენკოს კოსმეტიკური საშუალებები მძიმე მეტალებზე და მომწამვლელ მარილებზე შეამოწმეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ეს პროდუქტები მოხმარებისთვის უსაფრთხოა.

შემოწმება თავად ტიმოშენკომ მოითხოვა, მისი თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. მანამდე მან დოზომეტრის გამოყენების უფლებაც მოიპოვა. ეს ხელსაწყო ოთახში რადიაციის ფონს ზომავს. ტიმოშენკომ არაერთხელ განაცხადა, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

# შვედური ტელევიზიის მოსკოვურ რეპორტაჟს პორნოფილმი თან სდევდა



შვედური კერძო არხის, „ტვ4 ნიუსის“ ხელმძღვანელობა ცდილობს გამოარკვიოს, როგორ მოხდა, რომ ახალი ამბების პროგრამასთან ერთად ეთერში პორნოგრაფიული ფილმი აჩვენეს.

უცნაური ინციდენტი გუშინ მოხდა. იმ დროს, როცა გადაცემის წამყვანი, არხის მოსკოველ კორესპონდენტს სირიის სამოქალაქო ომზე ესაუბრებოდა, სტუდიის ერთ-ერთ უკანა მონიტორზე გამოსახულება უეცრად გაქრა და ეკრანზე პორნოფილმიდან კადრები გამოჩნდა.

მეტამორფოზით გაოგნებულმა მაყურებელმა არხის რედაქციის ტელეფონები ააფეთქა. საინფორმაციო განყოფილების რედაქტორმა ანდრეას ხაგლინდმა არ გამორიცხა, რომ სკანდალური შემთხვევის ირიბი მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ის, რომ „ტვ4 ნიუსის“ სერვერი შეერთებულია ეროტიკული კონტენტის მქონე გასართობი არხის ქსელებთან, იტყობინება დეილი მეილი.

ახალი ამბების გამოშვებაში ათწუთიანი პაუზა კი, ალბათ, სერვერის მუშაობის გადატვირთვით იყო გამოწვეული.

მსგავსი ინციდენტი მოხდა 2006 წლის 20 აგვისტოს შვედურ „ტვ 20-ში“, როდესაც სახელმწიფო არხ „ესვეტეზე“ საღამოს საინფორმაციო გადიოდა. მისი დაწყებიდან რამდენიმე წუთში გამოშვების პროდიუსერმა შენიშნა, რომ წამყვანის უკან, სტუდიის ერთ-ერთ მონიტორზე გახურებული პორნოფილმი მომდინარეობდა. ის დაუყოვნებლივ სტუდიაში შევარდა და მონიტორი გამორთო.

ეთერის შემდეგ დამნაშავის ძებნა დაიწყეს და გაირკვა, რომ ამ არხზე მონიტორი ჯერ კიდევ დღისით დააყენეს, რათა კორესპონდენტებს სპორტული გადაცემებისთვის საკაბელო არხ „კანალ პლუსზე“ ეყურებინათ.

საღამოს ისინი წავიდნენ და მონიტორი ჩართული დატოვეს. მაგრამ ღამით „კანალ პლუსი“ უფროსებისთვის იწყებს ფილმების ჩვენებას, რომლის პიკანტური ფრაგმენტიც ახალი ამბების საღამოს გამოშვებაში აჩვენეს. მაყურებელმა, პორნოს ჩვენება ვერ შენიშნა და იმ დღეს ტელევიზიაში არც ერთი საჩივარი არ შესულა.

# ლატარეაში მილიონის მომგები ამერიკელი ფულის მიღებისთანავე მოწამლეს



ჩიკაგოს მცხოვრები, რომელმაც ლატარეაში მილიონი დოლარი მოიგო, ჩეკის მიღებიდან მეორე დღესვე ციანიდით მოწამლეს, ამის შესახებ „ჰაფინგტონ პოსტი“ სასამართლო ექსპერტზე დაყრდნობით იტყობინება.

46 წლის ურუჟა ხანის ნაადრევი სიკვდილის მიზეზი მისი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ დაადგინეს. თავდაპირველად, პათოლოგანატომებმა გადაწყვიტეს, რომ ის ჯანმრთელობის პრობლემების გამო დაიღუპა.

ივნისში ხანმა, რომელიც ქიმწმენდის ქსელს ფლობდა, სახლის გვერდითა სუპერმარკეტში ლატარეის ბილეთი იყიდა. ნაცნობი მამაკაცების თქმით, საუდის არაბეთიდან, ჰაჯიდან (მოლოცვა) დაბრუნების შემდეგ ის მართებულად ცხოვრებას და აზარტული თამაშების შეწყვეტას აპირებდა.

მალე ხანმა გაიგო, რომ მილიონო დოლარი მოიგო. ის განცვიფრებული და ბედნიერი იყო. მამაკაცი მოგების გამოყენებას საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის და ქველმოქმედებისთვის აპირებდა. მან 600 ათასზე ცოტა მეტის გამოტანა გადაწყვიტა. გადასახადების გადახდის შემდეგ, დაახლოებით 425 ათასი უნდა მიეღო.

19 ივნისს მას ჩეკი მისცეს, მეორე დღეს უეცრად გარდაიცვალა. ოჯახმა ფული 15 აგვისტოს გაანაღდა. გამოძიება გრძელდება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები

მარიამ გელაშვილი, ნანა ველიჯანაშვილი, მარიკა და თამუნა ჭიჭიბოშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ ზაურ და ჟენია მამულაშვილებს შვილის, სოფო მამულაშვილს ძმის

**ზურა მამულაშვილის**

გარდაცვალების გამო. უსამძიმრებენ ახლობლებსა და ნათესავებს.

ფირუზ კოჩობაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ნინო ალავიძეს დედის, გოჩა ხატიაშვილს სიდედრის

**ზიზი ლომიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 10 იანვარი**

**06.30** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** „ჩვენი დილა„ (პ/ე) **09.00**, **10.00**, **12.00**, **14.00**, **16.00**, **19.00**, **20.00**, **03.30** „მოამბე„ **10.30** „დილის საუბარი„ **11.00** „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) **12.45** „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) **15.00** „პეპეს საახალწლო შოუ„ **17.00** დ/ფ „სიცოცხლე„ **18.00** „პეპე და მეგობრები„ **19.05** ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ **21.00** ტ/სერ. „როსელა„ **22.00** „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ **23.00** სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ **00.00** „ჩემი ოჯახი„ **01.00** მხ/ფ „როგორ მოკლა მხდალმა რობერტ ფორდმა ჯესი ჯეიმსი„ (ბ.პიტი) **03.50** ტ/სერ. „სპირალი„ **04.50** მხ/ფ „მოწმობა ქორწინებისთვის„ (ტიტ.) (რ.უილიამსი)

**08.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **12.00**, **15.00**, **17.00**, **20.00**, **23.00** „ბრიფინგის დრო„ **11.00** დ/ფ „სიცოცხლე„ 9 ნაწ. **14.00** დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ 10 ნაწ. **16.00** დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 6 ნაწ. **19.00** ტ/სერ. „ოჯახური გამოძიება„ 7 სერ. **22.00** „თავისუფალი ტრიბუნა„ **00.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ/ფ „სიამაყე და დიდება„ (ტიტ.) (კ.ფარელი)

**08.00** ან.ფ. „სალადინი„ მე–15„ 16 სერია **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **09.15** ან.ფ. „სპანჯბობი„ მე–6„ 7 სერ. **10.00** სერ. „იღბლიანი მოახლე„ **11.30** სერ. „უკვდავი ამბავი„ **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. „გაქცევა – 3„ 6 სერ. **14.45** სერ. „24 – 4„ 4 სერ. **15.45** სერ. „დამალული სიმართლე„ 6 სერ. **17.40** სერ. „თილისმა„ 7 სერ. **18.50**, **19.05** სერ. „სახიფათო ვნება„ **21.00** სერ. „მარტოსული„ **22.00** ქ.სერ. „შუა ქალაქში„ **23.00** სერ. „ღვინის გზა„ 4 სერ. **00.00** მხ/ფ „უცნაური პერსონა„ (ე.ტომპსონი) **02.00** მხ/ფ „ქორწილის ორგანიზატორი„ (მ.მაკკონეჰი) **03.40** მუსიკა

პროგრამაში შესაძლებელია ცვლილებები **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „ქალის მსხვერპლი„ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი„ **12.00**, **15.00**, **18.00**, **20.00**, **21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** „შუა დღე„ **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. „ვნების უფსკრული„ **18.45** სერ. „მგზნებარე გული„ **19.50**, **20.05** სერ. „ღირსება და ამბიცია„ **22.00** პროფილი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **06.45** მხ/ფ „ათოვდა ზამთრის ბაღებს„ I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი„ **10.00**, **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05**, **12.10**, **18.55**, **21.55**, **00.25** ისტორიის დღიური **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.35**, **21.03** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ „მთამომავლობა„ თ.ჯორჯაძე **11.20** ჩვენი ტრაპეზი **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ „სიყვარული ყველას უნდა„ **13.35** კონცერტი -ანს.„ჩვენებურები„ **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **16.00** მხ/ფ „მოიტაცეს თამარ ქალი„ **17.10** გვილოცავენ ექიმები **18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ „შეხვედრა მთაში„ **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** ერთსულოვნების სალონი **22.25** პერსპექტივა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პერსპექტივა (გაგრძელება) **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ „ათოვდა ზამთრის ბაღებს„ II ნაწ.

მაესტრო **07.00**, **01.30**, **04.05**, **05.05**, **06.05** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30**, **08.20**, **10.30**, **11.20**, **12.30**, **13.30**, **15.40**, **16.30**, **17.10**, **18.40**, **04.40**, **05.40**, **06.40** უცხოეთის ამბები **07.55**, **10.55**, **11.55**, **12.55**, **13.55**, **14.55**, **16.55**, **17.55**, **18.55**, **07.00** უკომენტაროდ, ამინდი **08.00**, **09.00**, **10.00**, **11.00**, **13.00**, **14.00**, **16.00**, **17.00** ახალი ამბები **08.30**, **09.15** შალვა რამიშვილის „დილა„ **11.30**, **22.00**, **01.10** ყოველდღიური აბები **12.00** ახალი ამბები 12 საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები 3 საათზე **18.00** ახალი ამბები 6 საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05**, **00.25** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ **20.00** ამბები მოკლედ **20.05**, **02.05** თოქ-შოუ „არგუმენტები„ **21.00** ახალი ამბები 9 საათზე **22.20**, **02.50** თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 იანვარი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6566 |
| ევრო | 2,1842 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6870 |
| რუსული რუბლი | 5,3463 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით —2-5, ღამით — -5 -2.
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 7-13, ღამით — 5-6.
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 6-8, ღამით — -5 -7.

**ამინდის პროგნოზი 10 იანვრისთვის**




# ახალი წლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები




## იანვრიდან! „ახალ თაობასთან“ ერთად ილია II ოქროს ხანა

სამტომეულის 1-ლი ტომი

## მურთაზ ხურცილავა სპორტის რაინდია



**5 იანვარს ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს მურთაზ ხურცილავას 70 წელი შეუსრულდა. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლევან ყიფიანის ბრძანებით, მურთაზ ხურცილავას საქართველოს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა.**

მურთაზ ხურცილავა წლების მანძილზე კაპიტნობდა თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრებს. სსრკ-ს პირველ გუნდთან ერთად მან მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა, 1972 წელს ევროპის ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, იმავე წელს კი მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

2003 წლის ნოემბერში, უეფას ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მურთაზ ხურცილავა „ოქროს ფეხბურთელად“ დაასახელა.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## ასტროპროგნოზი 10 იანვრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მოასწრებთ. **ტყუპები** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი კარგად არის. **ლომი** — ახალი საქმე დაგაინტერესებთ, იაქტიურეთ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რომელიც კარგად გამოგდით. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრი გაგამხიარულებთ. **მშვილდოსანი** — სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი. **თხის რქა** — ყველას ნუ ენდობით, არ არის საჭირო. **მერწყული** — ახალ ბიზნესს იწყებთ, რადგან ძველმა გაამართლა. **თევზები** — ბევრს ფიქრობთ, მთავარი კი საქმეა და ნუ დაგავიწყდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. სინათლის ნაწილაკი, კვანტი; 2. ესპანური წესით დამზადებული ღორის ლორი; 3. კინოცენტრი ინდოეთში; 4. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 6. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 8. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის დეკორატიული მცენარე; 11. ქალაქი ლოს-ანჯელესის მახლობლად, სადაც ყოველწლიურად ტარდება ვარდების დღესასწაული; 12. თოკზე მოსიარულე ჯამბაზი; 16. აღმოსავლური ტკბილეული; 17. შიკრიკი, ამბის მომტანი; 18. ტყის გარეული ხარი.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ხალხური ცეკვა, რომელიც ახალი წლის პირველ დღეს სრულდებოდა; 5. ქართველი სუმოისტი; 7. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 9. ფრინველის კვერცხების შემსწავლელი მეცნიერება; 10. მე-17 საუკუნის ესპანელი ფერმწერი; 13. საზაფხულო ფეხსაცმელი; 14. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 15. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. საღამოს სადილი; 20. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ავტომრბოლელთა გუნდი; 22. პირველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*



## ვაჟა აზარაშვილი კულტურის რაინდია

ეკა ირემაშვილი



**კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი საქართველოს მწერალთა კავშირმა კულტურის რაინდის წოდებით დააჯილდოვა. კომპოზიტორთან ერთად ეს საპატიო წოდება მხატვარ გივი თოიძესაც ერგო. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში გაიმართა და მას ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

საქართველოს მწერალთა კავშირი კულტურის რაინდის წოდებას იმ ადამიანებზე გასცემს, ვისი შემოქმედებაც ქართული საზოგადოებისთვის გამორჩეულად ძვირფასია. ამ წოდების მატარებლები უკვე არიან მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი, პოეტი მუხრან მაჭავარიანი და საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე.

კომპოზიტორთა კავშირში დაჯილდოების ცერემონიალი თბილისის მერიის თანადგომით ჩატარდა და მწერალთა კავშირმა ქართველ მწერლებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან და სხვა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრა მოაწყო, სადაც საქართველოს მწერალთა კავშირმა ფართო საზოგადოებას წარუდგინა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## „ოსკარზე“ ნომინანტებისთვის ხმის მიცემა ვარსკვლავებს ინტერნეტის საშუალებითაც შეეძლებათ

ამერიკის კინოხელოვნების აკადემიამ წელს პირველად დაუშვა პრეცედენტი - ნომინანტებისთვის ხმის მიცემა მსურველებს ინტერნეტის საშუალებით შეეძლებათ.

„ოსკარის“ ბედს 5856 ათასი წარმომადგენელი გადაწყვეტს, რომელთაც ხმის მიცემის უფლება გააჩნიათ.

ადრე ნომინანტების ბედს ბიულეტენების რაოდენობა განსაზღვრავდა. ამჯერად კი ხმის მიცემა ბიულეტენებთან ერთად, რომლებიც სპეციალურ ე.წ „საარჩევნო ყუთებში“ კინემატოგრაფის ვარსკვლავებს საცხოვრებელი უბნების-ლოს ანჯელესში, ნიუ-იორკსა და ლონდონში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეეძლოთ ჩაეგდოთ, ინტერნეტის საშუალებითაც შეეძლებათ.



კინოს სამყაროში ყველაზე პრესტიჟული პრემიის ნომინანტები 10 იანვარს გამოვლინდებიან. საიუბილეო 85-ე დაჯილდოების ცერემონია 25 თებერვალს ლოს-ანჯელესში გაიმართება, მისი ტრანსლირება კი პირდაპირ ეთერში 225 ქვეყანაში მოხდება.

„ოსკარი“ — კინემატოგრაფიულ ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის პრემიაა. სახელწოდება ოსკარი აღებულია იმ პატარა ქანდაკებისგან, რომელსაც ლაურეატებს გადასცემენ.

1929 წლიდან მოყოლებული პრემია გადაეცემა ყოველწლიურად ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსულ საუკეთესო ფილმებსა და სხვადასხვა კატეგორიაში მოღვაწე კინოხელოვანებს.

ცერემონია ორგანიზებულია პროფესიული ასოციაციის მიერ, რომლის სახელწოდებაა კინემატოგრაფიულ ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემია.

ერთი ფილმის მიერ აღებული ოსკარების ყველაზე დიდი რაოდენობაა 11. ეს რეკორდი სამმა ფილმმა მოხსნა:

ბენ-ჰური, 1959.
ტიტანიკი, 1997.
ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება, 2003.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ლურჯი წითელი ყვითელი შავი